

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი №1

თბილისი

14.02.2020

სხდომას ესწრებოდნენ:

*უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო)  
წევრები:*

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს  
თავმჯდომარე;  
ნუგზარ სხირტლაძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე - პრეზიდენტი, მათემატიკის  
კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი - სხდომის თავმჯდომარე;  
თამარ იოსელიანი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ -  
საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი - სხდომის მდივანი;  
დავით ბოსტოღანაშვილი - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის  
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;  
ნინო ინასარიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის  
მიმართულების სპეციალისტი;  
მაია მანწავა - სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის  
რეოლოგიისა და დიაგნოსტიკურ - ანალიტიკური სერვისების განყოფილების გამგე, მთავარი  
მეცნიერ - თანამშრომელი;  
მორისი შალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;  
იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის  
დირექტორის მოადგილე;  
ირაკლი კოხრიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე - რექტორი,  
ონკოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;  
ირმა ჭანტურია - შპს „ღვინის ლაბორატორიის“ დირექტორი.

*სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)  
წარმომადგენლები:*

ლალი გიორგიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის  
სამმართველოს უფროსი;  
გიორგი მუნჯიშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის  
სამმართველოს კოორდინატორი;  
გაბა გვენეტაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის  
სამმართველოს კოორდინატორი.

*უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:*

1. 'სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

გიორგი შარვაშიძე - რექტორი;  
ირმა გრძელიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;  
ლაშა სალინაძე - კანცლერი;  
მაია გელაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი;  
ნატა ასათიანი - PR სამსახურის თანამშრომელი;  
გვანცა ბზიავა - PR სამსახურის თანამშრომელი;  
გიორგი ბერუაშვილი - PR სამსახურის თანამშრომელი;  
დავით სიხარულიძე - ასოცირებული პროფესორი.

2. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი:

დემეტ აქინ - რექტორი;  
ლეილა ახვლედიანი - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;  
გიორგი ცხვედიანი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;  
თეა მიქელაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;  
ნანა კუტუბიძე - სტუდენტთა მომსახურების სამსახურის უფროსი.

3. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი:

დავით ტეფნაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;  
ემზარ ბარბაქაძე - რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;  
ბექა ბუიძე - პროფესიული განათლების ხარისხის მენეჯერი;  
ნიკა თიკანაშვილი - საინჟინრო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი;  
დიმიტრი ლომიძე - საფრენოსნო მომზადების ფაკულტეტის დეკანი;  
გიორგი ევგენიძე - საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი.

*უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):*

ია მოსაშვილი;  
ტატიანა ტრეტიაკოვა;  
ლაშა ლალიაშვილი;  
ივანე აბიათარი;  
გიორგი ჩილინგარაშვილი;  
დიანა მჭედლიშვილი.

*სხვა დამსწრე პირები:*

ქრისტინე გაბისონია - სტენოგრაფისტი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას

უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ. ამავე პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაავალა საბჭოს წევრს თამარ იოსელიანს. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის საკითხის განხილვა;
2. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

• საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შეამდგომლობა. შეამდგომლობა წარდგენილი არ იქნა. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება, წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

თვითაცილება გამოაცხადეს საბჭოს წევრებმა: თამარ ზარანდიამ, ნინო ინასარიძემ, დავით ბოსტოლანაშვილმა და მორის შალიკაშვილმა.

იქნედან გამომდინარე, რომ საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ პირველ საკითხზე თვითაცილება განაცხადა, საბჭოს წევრთა დამსწრეთა უმრავლესობით სხდომის თავმჯდომარედ განისაზღვრა საბჭოს წევრი ნუგზარ სხირტლაძე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადს, დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. უსდ-ს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რათა მათ საბჭოსთვის წარედგინათ მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- საჭიროა ფაკულტეტების დონეზე ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციების გაძლიერება;

- საჭიროა ფაკულტეტების დონეზე უფრო ინტესიური მუშაობა და ჩართულობა, ხარისხის სამსახურის და ფაკულტეტის საბჭოების მუშაობაში;

- საჭიროა ფაკულტეტების მიხედვით სტუდენტთა რაოდენობების დაგეგმვა;

- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს კურსის წამყვანი პროფესორისა და სემინარების წამყვანი ლექტორების მიერ სტუდენტებისთვის მათ მიერ მიღწეული შედეგების შესახებ ინდივიდუალური განმავითარებელი შეფასების მიცემის ეფექტიანი მექანიზმი;

- უნივერსიტეტმა უნდა დანერგოს აკადემიური პერსონალის მიერ ელექტრონული ჟურნალის ადმინისტრირება, რათა უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტებისთვის უკუკავშირის და შეფასების შედეგების დროული მიწოდება;

- საჭიროა საერთაშორისო სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფა საუნივერსიტეტო პროცესებში;

- საჭიროა სტუდენტური პროექტების ეფექტურობის შეფასების მიზნით მუშაობის გააქტიურება;

- საჭიროა სტუდენტთა თვითმმართველობაში მეტი სტუდენტის ჩართვის შესაძლებლობა, მათ შორის საერთაშორისო სტუდენტების;

- საჭიროა მოხდეს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება/ადაპტირება (სტუდენტური სივრცეების შექმნა, ადაპტირება სსსმ პირებისთვის);

- საჭიროა განხორციელდეს სტუდენტთა შეფასების ელექტრონული სისტემის განვითარება მონაცემების მდგრადობის თვალსაზრისით, ასევე რესურსების დაზოგვის მიზნით და



ეკოსისტემაზე ზრუნვის მიზნით, რაც ასევე უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის ინდივიდუალური განმავითარებელი უკუკავშირის მიცემას;

- საჭიროა მოხდეს სტუდენტების მიერ შესრულებულ ნაშრომებში პლაგიატის დადგენისა და პრევენციის მექანიზმების სრულად დანერგვის უზრუნველყოფა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ია მოსაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დაწესებულებამ 6 წლის ვადით გაიარა ავტორიზაცია 2018 წელს და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 22 157- ით. ექსპერტის თქმით, 2019 წელს უნივერსიტეტმა წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში და 2019 წლის დეკემბერშივე ცენტრში შემოვიდა განაცხადი სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის თაობაზე. შესაბამისად, შეიკრიბა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი და განხორციელდა ვიზიტი 2019 წლის 26 – 27 დეკემბერს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ია მოსაშვილის განმარტებით, ვიზიტისას ისინი გაეცნენ დოკუმენტაციას, ადგილზე შეისწავლეს სიტუაცია, აღნიშნული წარმოდგენილი იყო დასკვნის დოკუმენტი. მისი თქმით, საკითხი ეხებოდა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ზრდას, კერძოდ დაწესებულება ითხოვდა კონტინგენტის 4 920 სტუდენტით გაზრდას. მათ შორის, სურდა 2250 სტუდენტის დამატებით მიღება შემდეგი 4 წლის განმავლობაში. 500 - მდე ვაკანტური ადგილი გამოყოფილი იყო ოკუპირებული ტერიტორიებიდან აპლიკანტებისთვის, 400 დამატებითი ადგილი - უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, 164 ადგილი - მობილობით გადმომსვლელთათვის და 1000 ადგილი - იმ სტუდენტებისათვის, რომელთაც სურდათ სტატუსის აღდგენა. მოცემული მდგომარეობით უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე 21 713 სტუდენტი სწავლობდა.

რაც შეეხებოდა რეკომენდაციებს, ექსპერტის, ია მოსაშვილის, განმარტებით, მათ პირველ რიგში სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა შეაფასეს, თუ როგორ იყო ის თავსებადი უსდ-ს მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, რასთან დაკავშირებითაც არ გააჩნდათ რეკომენდაციები და რჩევები. ასევე, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ინტერვიუების დროსაც დადასტურდა, რომ უსდ - ში არსებობდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და მონიტორინგის ჯგუფები, რომლებიც გარკვეული პერიოდულობის განმავლობაში ამოწმებდნენ უნივერსიტეტის სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმების მიმდინარეობის პროცესს და ახდენდნენ მის მონიტორინგს, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც სახეზე იყო. ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ითხოვდა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდას, რაც ასახული იყო სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში, ასევე, ასახული იყო, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა - მოდიფიცირება, რაც კავშირში იყო სტუდენტთა რაოდენობის ზრდასთან. უნივერსიტეტი გეგმავდა უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების დამატებასაც, რაც ჩანდა სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში.

რაც შეეხებოდა უსდ -ს ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ ძირითადად გაიცა რეკომენდაციები, რომლებიც შეეხებოდა - ფაკულტეტებზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების გაძლიერებას, ფაკულტეტების დონეზე უფრო ინტენსიურ მუშაობასა და ჩართულობას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და საბჭოების მუშაობაში, ფაკულტეტების მიხედვით სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის დაგეგმვას. მისი განმარტებით, ფაკულტეტებზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციების გაძლიერება იყო საჭირო. გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ფაკულტეტებზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციებს შორის შედარების დროს,



გამოიკვეთა ბევრი ფუნქცია, რაც შეთავსებული ჰქონდა ძირითად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ფაკულტეტებზე, რიგ შემთხვევაში, აუცილებელი იყო, თუნდაც სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვასთან დაკავშირებით უფრო გაძლიერებულიყო მუშაობა და ამ მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა გამხდარიყო უფრო კონკრეტული და დეტალური.

ასევე, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებდა ფაკულტეტის საბჭოები, რეკომენდირებული იყო, ფაკულტეტის საბჭოს მუშაობაში უფრო ინტენსიურად ჩართულიყვნენ მონაწილეები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სტუდენტები, რისი აუცილებლობაც გამოიკვეთა ინტერვიუების დროს. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებაში ზოგიერთ ფაკულტეტზე, სადაც სტუდენტთა რაოდენობის ზრდას გეგმავდნენ, ზუსტი რიცხოვნობის რაოდენობის დასახელება ვერ შეძლეს რესპოდენტებმა. რაც შეეხებოდა საუკეთესო პრაქტიკას, მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, საუკეთესო პრაქტიკა იყო ინსტიტუციური ინდიკატორების დადგენა, რომელსაც აკეთებდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და იყო მნიშვნელოვანი, შრომატევადი საქმე. ასევე, ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის სწავლისა და სწავლების თემატურ ჯგუფებში მონაწილეობა, კურიკულუმის კომიტეტის ჩამოყალიბება, სტუდენტთა, დამსაქმებელთა ჩართულობა, აკრედიტაციის პროცესების სიმულაცია, რაც ეხმარებოდა უნივერსიტეტს აკრედიტაციისათვის წარმოედგინა უფრო დახვეწილი საგანმანათლებლო პროგრამები.

ექსპერტმა დიანა მჭედლიშვილმა წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია მესამე სტანდარტთან მიმართებით, რომელიც ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით დაწესებულების მზაობის შეფასებას, მიეღო სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობა. ექსპერტის განმარტებით, დოკუმენტაციითა და ყველა რგოლთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ უნივერსიტეტს ემატება ახალი საგანმანათლებლო პროგრამები, მათ შორის, ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები. ასევე, დადასტურდა არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის, ისევე როგორც, მობილობისა და საერთაშორისო სტუდენტების მიღების მზარდი დინამიკა. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების მზაობა, რომ მიიღოს უფრო მეტი სტუდენტები ნამდვილად დადასტურდა. დადებით მხარედ აღინიშნა, საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში დაინტერესებული მხარის ჩართულობა, ფიქსირდებოდა ჩართულობის ზრდის დინამიკაც, კოლეგიური საბჭოების აქტიური მუშაობა. ექსპერტის თქმით, საუკეთესო პრაქტიკა იყო არსებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესის სიმულაცია, რაც დაფუძნებული იყო შიდა კოლეგების შეფასებაზე და იძლეოდა საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსობრივი მხარის განვითარების შესაძლებლობას გარე ექსპერტიზის შემოსვლამდე. შესაბამისად, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება კარგად იყენებდა აღნიშნულ პროგრამის განვითარების შესაძლებლობებს. ასეთი შეფასება განხორციელებული იყო 28 საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა 2 რეკომენდაცია: პირველი, რეკომენდირებული იყო უნივერსიტეტს შეემუშავებინა კურსის წამყვანი პროფესორებისა და სემინარების წამყვანი ლექტორების მიერ სტუდენტებისათვის მათ მიერ მიღწეული შედეგების შესახებ ინდივიდუალური განმავითარებელი შეფასების მიცემის ეფექტიანი მექანიზმი. ექსპერტმა განმარტა, რომ ინდივიდუალური მუშაობა და კონსულტაციები სტუდენტებთან კარგად მუშაობდა, განსაკუთრებით აქცენტი კეთდებოდა ისეთ სტუდენტებზე, რომლებსაც აკადემიური მოსწრების კუთხით ინდივიდუალური დახმარება სჭირდებოდათ. თუმცა, დიდ ჯგუფებში, სადაც იყო 100 - 200 სტუდენტი, ექსპერტებმა ვერ დაინახეს წამყვანი ლექტორის, რომელიც თეორიას უძღვებოდა, ჩართულობა სტუდენტებთან ინდივიდუალური კონსულტაციის კუთხით. ასევე, აღინიშნა, რომ

*წ. მონათაძე*

სემინარის ჯგუფებში იყოფოდნენ სტუდენტები და სემინარის წამყვანი ლექტორები, პროფესორების დამხმარე ასისტენტები ყოველდღიური განმავითარებელი შეფასების უკუკავშირის ამღებდნენ სტუდენტებს, თუმცა, ამ კუთხით მაინც იყო სამუშაო.

რაც შეეხებოდა მეორე რეკომენდაციას, რეკომენდირებული იყო უნივერსიტეტს დაენერგა აკადემიური პერსონალის მიერ ელექტრონული ჟურნალის ადმინისტრირება, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სტუდენტებისთვის უკუკავშირის და შეფასების შედეგების დროული მიწოდება. პროცესი დაწყებული იყო, თუმცა მხოლოდ ერთ ფაკულტეტზე საცდელი ვერსიით. აღნიშნული გაამარტივებდა პროცედურულ საკითხებს, სტუდენტი დროულად მიიღებდა ინფორმაციას საკუთარ შედეგებზე, სისტემა იქნებოდა უფრო გამართული და მოქნილი.

მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ადამიანურ რესურსებს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითქმის ყველა აკადემიური პერსონალი ავლირებულია, თანაფარდობები, მოწვევულ ლექტორებს, ადმინისტრაციას, სტუდენტებს შორის იყო თითქმის 1:2, რაც იყო კარგი მაჩვენებელი, თუმცა, მათ მიერ გასაუბრებისას მაინც დაისვა კითხვა მაგალითად, რამდენად ჰქონდა დაწესებულებას საკმარისი რესურსი სტუდენტთა შესაბამისად მომსახურებისათვის, რაზეც უსდ--დან მიიღეს პასუხი, რომ თუ საჭიროებას დაინახავდნენ დაამატებდნენ ადამიანურ რესურსს, ამ უტკაპზე კი ამის საჭიროება არ იყო. შესაბამისად, ექსპერტი თვლიდა, რომ ამ კუთხით უნივერსიტეტი კარგად იყო მომზადებული.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ია მოსაშვილმა განაგრძო საუბარი მე-5 სტანდარტზე, რომელიც ეხებოდა სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებებს. მათი რეკომენდაცია იყო სტუდენტების თვითმართველობის პროცესში ჩართულობის გაზრდა, მათთვის გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ეფექტურობის გაზრდა. აღნიშნული ძირითადად ეხებოდა საერთაშორისო სტუდენტებს, რადგან მათი ჩართულობა თვითმართველობის პროცესში აქტიური არ იყო. ასევე, მათ გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებოდათ, მაგრამ დაწესებულების ვებ - გვერდზე არ იყო თანხვედრა ქართულ და ინგლისურ ენაზე წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. ასევე, ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ადაპტირება სსსმ პირებისთვის, სტუდენტური სივრცეების შექმნა. ექსპერტის თქმით, ყველა სტუდენტის მოთხოვნა იყო გაუმჯობესებულიყო სტუდენტური სივრცეები და წარმოდგენილი ყოფილიყო მეტი რაოდენობით. აღნიშნული შეეხებოდა დაწესებულების ინფრასტრუქტურის ადაპტირებასაც.

რაც შეეხებოდა უნივერსიტეტის მატერიალურ, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსებს, ექსპერტის თქმით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, აღნიშნულის უზრუნველყოფა აუცილებელი იყო, იმისათვის, რომ უნივერსიტეტს შეძლებოდა ამ სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის კარგად ორგანიზება. უნივერსიტეტი შემოწმდა დოკუმენტურად, როგორც მატერიალურ, ასევე, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო, ფინანსური რესურსებთან მიმართებით, სადაც გაიცა რეკომენდაცია, რომ უნდა მომხდარიყო სტუდენტთა შეფასების ელექტრონული სისტემის განვითარება, რესურსების დაზოგვის თვალსაზრისით და ეკოსისტემაზე ზრუნვის მიზნით, რაც ასევე, უზრუნველყოფდა სტუდენტებისთვის ინდივიდუალური განმავითარებელი უკუკავშირის მიცემას.

ექსპერტები შეეხნენ სტუდენტთა ნაშრომებში პლაგიატის დადგენის და პრევენციის მექანიზმის სრულად დანერგვის უზრუნველყოფის თემასაც. ექსპერტის განმარტებით, უნივერსიტეტს

*ბ. მონტა*

დანერგილი ჰქონდა აღნიშნული სისტემა, თუმცა სასურველი იქნებოდა მომხდარიყო ყველა ნაშრომის შემოწმება პლაგიატზე, მაგალითად სტატიის, რა პრობლემაც გამოიკვეთა სტუდენტებთან გასაუბრების დროსაც. ექსპერტის თქმით, ელექტრონული სისტემა უნივერსიტეტში მუშაობდა, თუმცა, გამოცდების დროს ზოგიერთი პროფესორი იყენებდა ელექტრონულ სისტემას, მაგალითად, მუდლს (Moodle), ზოგიერთ შემთხვევაში კი ფაკულტეტებს გადაეცემოდა შევსებული უწყისი, რომელიც შემდეგ უზრუნველყოფდა მის ელექტრონულ სისტემაში მოთავსებას. შესაბამისად, უმჯობესი იქნებოდა ყველაფრის ელექტრონულად გადაყვანა, რის შედეგადაც უკუკავშირი სტუდენტებთან გახდებოდა უფრო მარტივი კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, განმავითარებელი შეფასებისა და ეკოსისტემაზე ზრუნვის თვალსაზრისით.

საბოლოოდ, ექსპერტთა ჯგუფი თანახმა იყო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გაზრდოდა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რას გულისხმობდნენ ექსპერტები სტუდენტთა პროექტების ეფექტურობის შეფასების მიზნით მუშაობის გააქტიურებაში, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ სტუდენტებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მათი ხურვილი იყო სტუდენტური პროექტების განხორციელების გაზრდა, შესაბამისად უნდა განვითარებულიყო და დანერგილიყო შეფასების გარკვეული სისტემა, რომელიც პროექტების შეფასებას მოახდენდა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს წარმოედგინა საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მოთხოვნილი რაოდენობა გამომდინარეობდა იქიდან, რომ მათ მიაღწიეს იმ ნიშნულს, რომლის შემდეგაც განვითარება ძალიან რთული იყო. ბოლო 3 წლის განმავლობაში დაწესებულებაში 45%-ით გაიზარდა სტუდენტთა მიღება, რაც ნიშნავდა იმას, რომ დაწესებულება ვითარდებოდა. რექტორის თქმით, ძალიან ბევრი იყო სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა, ამასთან, დაახლოებით 1 900-მდე სტუდენტმა აღიდგინა სტატუსი 7 000-დან. უნივერსიტეტების მე-3 მისიიდან გამომდინარე, დაწესებულება მონაწილეობდა ბევრ პროგრამაში, მაგალითად, 1+4 რომელიც შეეხებოდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან აპლიკანტების ჩამოყვანას. პროგრამების რაოდენობა იზრდებოდა, რის ხარჯზეც იზრდებოდა მისაღები ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობაც, დაახლოებით 1 000 სტუდენტი ჩამოდიოდა დიპლომის მისაღებად. რაც შეეხებოდა მატერიალურ ბაზას მისი თქმით, ის ვითარდებოდა, ბოლო 3 წლის განმავლობაში ბიუჯეტი 40%-ით იყო გაზრდილი. დაიწყებული იყო ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის, აღდგენითი რეკონსტრუქციული პროექტები, რაც დაგეგმილი იყო 2023 წლის ჩათვლით. გეგმის მიხედვით, ყველა სასწავლო და კვლევითი ბაზა უნივერსიტეტში, კვლევითი ინსტიტუტების ჩათვლით, იქნებოდა განახლებული და აყვანილი საერთაშორისო დონეზე. დაწესებულების 29 შენობა იყო განთავსებული თბილისის სხვადასხვა ადგილას.

გარდა ამისა, რექტორის განმარტებით, ისინი აწესრიგებდნენ სტუდენტურ საერთო საცხოვრებლებს, სტუდენტების მომსახურებას. უნივერსიტეტს ჰქონდა ორი საერთო საცხოვრებელი: ძველი და ახალი (320 ადგილიანი), იწყებდნენ ახალი საერთო საცხოვრებლის (3 000 ადგილიანი) მშენებლობას მაღლივის გარშემო. რაც შეეხებოდა რეკომენდაციებს, რექტორის



თქმით, ნაწილი უკვე გაითვალისწინებული იყო, განსაკუთრებით საერთაშორისო სტუდენტებთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ვიზებს და გადაადგილების პრობლემებს, დღემდე ერაყის მოქალაქეების საკითხი იყო გაურკვეველი, თუმცა თანხმდებოდნენ, რომ მაქსიმალურად უნდა მომხდარიყო ინფორმაციის მიწოდება. მან აღნიშნა, რომ ზოგადად უნივერსიტეტი ვითარდებოდა მეტი საერთაშორისო სტუდენტის შემოყვანით, ჰქონდათ ბევრი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელმაც მიიღო საერთაშორისო აკრედიტაცია. მისი თქმით, ისინი იყვნენ პირველები რეგიონში, რომლებმაც მიიღეს აბეტის (ABET) აკრედიტაცია, კომპიუტერულ მეცნიერებებისა და ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამებზე, 36-ე ქვეყანა იყო საქართველო, სადაც აბეტის (ABET) აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამებით გაიცემოდა დიპლომები. ბიო-ქიმიას და ქიმიას რაც შეეხებოდა, ამერიკის ქიმიკოსთა საზოგადოებამ სერტიფიცირება გაუკეთა აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამებს, უკვე გამოცხადდა სტუდენტთა მიღებაც და გაიცემოდა საერთაშორისო დიპლომი. ასევე, სხვა მიმართულებებში დაწესებულებას ჰქონდა ორმაგი ხარისხის პროგრამები, მუშაობდნენ სხვადასხვა საერთაშორისო უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრთან. რექტორის განმარტებით, ყველა საგანმანათლებლო პროგრამა იქნებოდა აუცილებლად თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისი, საერთაშორისო დონის, არ აპირებდნენ კომპრომისებს ხარისხის ხარჯზე, რისი საშუალებაც ჰქონდათ გამომდინარე იქიდან, რომ წელს 10 000-მა სტუდენტმა შეაჩერა არჩევანი თსუ - ზე, როცა 5 000 ადგილზე გამოცხადდა მიღება.

უნივერსიტეტის განვითარებას რაც შეეხებოდა, გიორგი შარვაშიძის თქმით, იყო ბევრი განმავითარებელი პროგრამა, რომელიც ეხმარებოდა სტუდენტებს. მაგალითად, სტუდენტებისათვის ადვილად გამოსაყენებელი აპლიკაციის შეიქმნა, რომელიც დაეხმარებოდა მათ, ნაკლები შეხება ჰქონოდათ ბიუროკრატიათა, რა მიმართულებითაც ორ სხვადასხვა კომპანიასთან მუშაობდნენ. ადამიანური რესურსები თსუ-ს საკმარისად გააჩნდა, თუმცა თუ საჭირო გახდებოდა მოიზიდავდნენ ახალ კადრებსაც. მისი თქმით, ისინი ინტენსიურად მუშაობდნენ დაფინანსების სიტემის შეცვლაზე, აპირებდნენ პრაქტიკის კომპონენტის გადახედვასაც, პროფესორებისათვის ღირსეული ანაზღაურების მიცემას. დაწესებულება გეგმავდა პილოტირება მოეხდინა დიდი ინოვაციური პროგრამების, მათ ექნებოდათ რესურსი საუკეთესო ძალები შემოეკრიბათ თსუ-ში.

პლაგიატთან დაკავშირებით, რექტორმა აღნიშნა, რომ თსუ ჩართული იყო ინთეგრირირების პროგრამაში (ერთი თურნითინის (TURNITIN) და მეორე ურკუნდი (URKUND) ). დაწესებულება გეგმავდა სამივე საფეხურზე ჩამოეყალიბებინა ახალი პოლიტიკა, ის მიმართული იქნებოდა იქითკენ, რომ აკადემიური კეთილსინდისიერება დაცული ყოფილიყო ყველა დონეზე. აპირებდნენ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას, რომ ყოფილიყო კორელაციაში ერთ - ერთი ამერიკის ასოციაციის სტანდარტებთან, რომლის წევრიც იყო დაწესებულება.

ფაკულტეტების ხარისხის უზუნველყოფის სამსახურების შესაძლებლობების გაძლიერებასთან დაკავშირებით, რექტორმა აღნიშნა, რომ ცენტრალური ოფისის სტრუქტურა მთლიანად შეიცვალა, აღნიშნული ცვლილებები იგეგმებოდა ფაკულტეტებზეც. აკრედიტაციის ვიზიტის სიმულაციები იყო ძალიან კარგი, რადგან ის ხელს უწყობდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის პროცესს. მისი თქმით, წელს დაწესებულების 55 საგანმანათლებლო პროგრამას უწევდა აკრედიტაცია. ასევე, დაამატა, რომ აღნიშნული პროცესი იყო საკმაოდ ბიუროკრატიული, რადგან, როდესაც დაწესებულებამ საავტორიზაციოდ 14 000 ფაილი წარადგინა, იყო ფუჭი დანახარჯი. ის ამჯობინებდა დისციპლინურ ან სტრუქტურულ კლასტერს, რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელებულიყო აკრედიტაციის პროცესი. მან ხაზი გაუსვა

*ბ. მთელი*

იმას, რომ ყველა საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც წარადგენდა დაწესებულება სააკრედიტაციოდ, უნდა ყოფილიყო საერთაშორისო დონის.

რაც შეეხებოდა სტუდენტურ პროექტებს, რექტორის განმარტებით, 436 პროექტი დაფინანსდა 3 წლის განმავლობაში, რაშიც დახარჯული იყო 2 000 000-ზე მეტი ლარი. მაგალითად, ქართული ფორთოხლის გადარჩენა, ფაროსანასთან ბრძოლის პროექტი, საფერავის გაკეთილშობილების პროექტი, სპორტული, კულტურული პროექტები და სხვა. მისი თქმით, თსუ ერთადერთი უნივერსიტეტი იყო საქართველოში, რომელსაც ჰქონდა შიდა სტიპენდიები, რაზეც 600 000 იხარჯებოდა. თსუ - ს ჰქონდა გაცვლითი პროგრამები ერაზმუს+ ფარგლებში - 255 პროგრამა, 130 ხელშეკრულება წარდგენილი იყო და აპირებდნენ დამატებინათ მოლდოვა, სომხეთი. რექტორის თქმით, თსუ - ში უფრო მეტი სტუდენტი ჩამოდიოდა ვიდრე უკრაინაში. შარშან ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში 100 პროფესორი იყო ჩამოსული. 1 500 სტუდენტი იყო ჩართული მობილობის სხვადასხვა სქემაში, ჰყავდათ 200 -ზე მეტი პარტნიორი, დაწესებულებას ჰქონდა დიდი ურთიერთობა ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკის, აზიის უნივერსიტეტებთან. ბევრ პროგრამაში სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა ემუშავათ ერთობლივად, მაგალითად, მე - 3 წელი იყო, რაც ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტები თსუ-ს სტუდენტებთან ერთად მონაწილეობდნენ არქეოლოგიურ გათხრებში, ჰქონდათ გაკეთებული ერთობლივი აღმოჩენები, ასევე, სტუდენტები აქტიურობდნენ პუბლიკაციების კუთხითაც. მისი თქმით, თსუ პირველი იყო, რომელმაც სადოქტორო დონეზე შემოიღო მაღალი სტანდარტები, ყველა დოქტორანტს ჰქონდა ვალდებულება დაცვამდე დაეხეჭა პუბლიკაცია მაღალ რეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალში. შესაბამისად, იმისათვის, რომ დეწესებულებას შეძლებოდა სტუდენტთა მიღება, საჭირო იყო სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა ფართთან დაკავშირებით, სრულად იყენებდა თუ არა დაწესებულება არსებულ ფართს. რაზეც რექტორმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს შემოუერთდა 16 კვლევითი ინსტიტუტი, ფართის მატება ნამდვილად არ იყო დაგეგმილი. პირველ ცვლაში დაწესებულების ფართის 50% იყო დატვირთული, მეორე ცვლაში კი - 20 %. მისი თქმით, მათ ჰქონდათ 85. ლაბორატორია, 15 იყო საერთაშორისო დონის, აბეტის აკრედიტაციის მიღება იყო უპრეცედენტო შემთხვევა, რომელიც 3 წელიწადში გაიარეს, პირველივე განაცხადის შემდეგ მიიღეს 6 წლიანი უპირობო აკრედიტაცია, რომელიც იყო იმის დამსახურება, რომ სტუდენტები იყვნენ მაღალი დონის და ლაბორატორიებიც იყო აღჭურვილი თანამედროვე დონეზე. ლაბორატორიის აღჭურვილობის განახლების მიზნით, ისინი ასევე მუშაობდნენ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რექტორის თქმით, 5 000 000 დაიხარჯა ლაბორატორიების აღჭურვაზე, 1 000 000 დოლარი ფიზიკის ლაბორატორიის ჩამოყალიბებაზე, ასევე, აპირებდნენ დამატებინათ ნეირო ფიზიოლოგიის ლაბორატორია, ლაბორატორია „ანტენა“. დაწესებულება იულიხის (Forschungszentrum Jülich) კვლევით ცენტრთან ერთად ამზადებდა სამ ლაბორატორიას, ანტენა ლაბორატორიას დაამატეს ის ნაწილები, რომელიც სასწავლო ლაბორატორიას აქცევს სამეცნიერო ლაბორატორიად და სადაც, უნდოდათ რომ ჩაერთოთ სტუდენტები. რექტორის განმარტებით, რამდენიმე ლაბორატორია ჩამოყალიბდება უნივერსიტეტში, კერძოდ: სველი ლაბორატორია (WET LAB), მშრალი ლაბორატორია (DRY LAB). გიორგი შარვაშიძის განმარტებით, ყველას ექნება თავისი დრო, ექსპერიმენტის ჩასატარებლად, სადაც დაცული იქნება ყველა საერთაშორისო სტანდარტი. რაც შეეხებოდა შერწყმას, ფიზიკის ინსტიტუტში გაკეთდება ერთი დიდი სივრცე, რომელიც გააერთიანებდა ფიზიკას, ქიმიას და ა. შ. იწარმოებდა თანამედროვე კვლევა, რომლის ინტელექტუალური და მატერიალური საშუალება უსდ - ს ჰქონდა.



საბჭოს წევრი ირმა ჭანტურია დაინტერესდა, თუ კონკრეტულად რომელი მიმართულებით იგეგმებოდა სტუდენტების რაოდენობის გაზრდა და რის საფუძველზე მოხდა ფაკულტეტების შერჩევა, რაზეც უსდ - ს წარმომადგენელმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირმა გრძელიძემ უპასუხა, რომ როდესაც მათ დაიწყეს პროცესი, რა თქმა უნდა ისინი დაეყრდნენ გარკვეულ რიცხვებს, სად უნდა გაეზარდათ რაოდენობა და როგორი იყო რესურსული უზრუნველყოფა ამისთვის.

ირმა გრძელიძის თქმით, დეტალურად იყო გაწერილი თვითშეფასების ანგარიშში, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში სტუდენტთა რაოდენობა ეტაპობრივად იზრდებოდა. 2018 წელს მიიღეს 1 000 სტუდენტით მეტი ვიდრე 2017 წელს, 2019 წელს კი 2018 წელთან შედარებით 700 სტუდენტით მეტი. რადგან წინა წლებში იყო ვარდნა და თსუ-ს ჰყავდა ცოტა კურსდამთავრებული ისინი გეგმავდნენ თითქმის ყველა მიმართულებებზე მიღების შენარჩუნებას, რაც მათ ჰქონდათ ბოლო წლებში. მეორე მიმართულება, რომელიც ასევე მნიშვნელოვანი იყო ახალი ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებმაც უკვე გაიარეს აკრედიტაცია, ორი პროგრამა, რომელმაც გაიარა აბეტის აკრედიტაცია, რაც ნიშნავდა იმას, რომ ეყოლებოდათ ბევრი საერთაშორისო სტუდენტი, თურქეთის, კვიპროსის, საბერძნეთის გამოცდილებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, მათ წელს ჰქონდათ გავლილი აკრედიტაცია ქართულ-ფრანგული უნივერსიტეტის ფარგლებში ტურიზმის მიმართულებით, ლიონ 2 - თან, ასევე გააკეთეს 2 სამაგისტრო ინგლისურენოვანი პროგრამა: მედია ფსიქოლოგია და პოსტ-საბჭოთა კვლევები. საგანმანათლებლო პროგრამების გადახედვით ჩანდა, რომ მხოლოდ მედიცინაზე არ წამოვიდოდნენ საერთაშორისო სტუდენტები საქართველოში. ირმა გრძელიძის თქმით უნივერსიტეტი ზრუნავდა იმაზე, რომ საგანმანათლებლო პროგრამები იქნებოდა ის ეროვნული თუ საერთაშორისო. ყოფილიყო მრავალფეროვანი და მათ საჭიროებებზე მორგებული. ასევე, უსდ-ს წარმომადგენლის თქმით, იგეგმებოდა უცხოენოვანი ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ეკონომიკის და ბიზნესის მიმართულებით. მოლაპარაკებები დაწყებული იყო ლიონის უნივერსიტეტთან, მუშაობდნენ ფსიქოლოგიის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე. მისი განმარტებით, დაწესებულების ჰუმანიტარულ - მეცნიერებათა ფაკულტეტი არ ფიქრობდა ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დამატებას, ამასთან იყო საგანმანათლებლო პროგრამები. სადაც თსუ -ს ძალიან ცოტა სტუდენტი ჰყავდა და ფიქრობდნენ, რომ უნივერსიტეტის მე-3 მისიიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი იყო საგანმანათლებლო პროგრამის შენარჩუნება კავკასიოლოგიასა და არმენოლოგიაში.

რაც შეეხებოდა მედიცინას, ირმა გრძელიძის განმარტებით, მათ შემოიტანეს სააკრედიტაციოდ განაცხადი ახალ ინგლისურენოვან პროგრამაზე სტომატოლოგიის მიმართულებით. გარდა ამისა, დაწესებულებამ წინა წელს პირველად მიიღო ოკუპირებული ტერიტორიიდან 60 სტუდენტი, რა რაოდენობაც მზარდი იყო. მისი თქმით, მათ 1 000 სტუდენტისთვის დატოვეს ადგილი, იმ შემთხვევაში თუ მათი ეკონომიკა სწრაფ ზრდას განიცდიდა და სტუდენტები მოინდომებდნენ სტატუსის აღდგენას, რომელიც სამომავლოდ საერთო რაოდენობის ნაწილი გახდებოდა. მათ დაინახეს, რომ ზრდადი იყო ტენდენცია და შემდეგ შეაფასეს რესურსული უზრუნველყოფაც. მან დაამატა, რომ დაწესებულებას ხშირ შემთხვევაში ჰქონდა სხვადასხვა სახის ინიციატივები, მაგალითად, სტუდენტების მხარდაჭერით საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაცია გახდა ევროპის სტუდენტთა გაერთიანების წევრი. დაწესებულება გეგმავდა სფარქსთან (ედინბურგის სტუდენტთა ასოციაცია) თანამშრომლობას პროექტის ფარგლებში, რომელიც გულისხმობდა სტუდენტების მეტ ჩართულობას ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში, რისთვისაც მოპოვებული იყო გრანტი. დაფუძნდა შიდა ხარისხის

ბ. მუთუზა

უზრუნველყოფის თემატური ჯგუფიც, სადაც ზიარდებოდა ის კარგი პრაქტიკები, რომლებიც ინსტიტუციებს გააჩნდათ.

ექსპერტმა დიანა მჭედლიშვილმა დაამატა, რომ მისი აზრით, მედია ფსიქოლოგიისა და პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები იქნებოდა მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლითაც დაინტერესდებოდნენ საერთაშორისო სტუდენტები. ასევე, მნიშვნელოვანი იყო ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები ისლანდიასთან, პროფესიული განათლებისა და ადამიანური რესურსების საგანმანათლებლო პროგრამა. იგეგმებოდა ერთობლივი სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაც აშშ-ს ერთ-ერთ უნივერსიტეტთან ერთად.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა - 16:04 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა - 16:07 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებმა განიხილეს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, დეტალურად გაეცნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, ასევე ზეპირ მოსმენაზე გამოთქმულ მოსაზრებებს და მიიჩნიეს, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი რესურსები, რომ სათანადო სასწავლო გარემო შეუქმნას 26 633 სტუდენტს.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 26 633-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 89-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 90-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტისა და 91-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204864548) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 26 633-ით.



სხდომას კვლავ გაუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, თამარ ზარანდია.

## 2. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება, წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. უსდ-ს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რომ დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია, ძირითადი რეკომენდაციები და მიგნებები. ცენტრის თანამშრომელმა სკაიპის საშუალებით ჩართო მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე, ცოტნე სამადაშვილი. თუმცა ტექნიკური ხარვეზის გამო, ჯგუფის თავმჯდომარემ ვერ მოახერხა საბჭოს წევრებისთვის რეკომენდაციების წარდგენა, შესაბამისად ანგარიში წარადგინეს საბჭოზე დამსწრე ექსპერტებმა.

ექსპერტმა ივანე აბიათარმა აღნიშნა, რომ ისინი იმყოფებოდნენ ვიზიტით შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმში. ექსპერტების მუშაობა იყო ნაყოფიერი. დაწესებულებამ მუშაობის პროცესში ექსპერტებს მიაწოდა ყველა საჭირო მოთხოვნილი დოკუმენტაცია. ექსპერტმა გააცნო საბჭოს ის რეკომენდაციები, რომელიც დასკვნაში აისახა:

- რეკომენდირებულია სამოქმედო გეგმაში დასახული ამოცანების შესრულებისთვის საჭირო მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსების მითითება;
- შეიქმნას ეთიკის კოდექსი უნივერსიტეტის პერსონალისთვის;
- რეკომენდირებულია აკადემიური/საგამოცდო პერსონალის გადამზადება OSCE-ის გამოცდის მომზადება/ჩატარებაში;
- რეკომენდირებულია მეტი აქცენტი გაკეთდეს დაწესებულების პერსონალის სამეცნიერო სტაჟირების ხელშეწყობაზე საზღვარგარეთ;
- რეკომენდირებულია, რომ უსდმ მოამზადოს და გამოაქვეყნოს ყოველწლიური კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული შემაჯამებელი ანგარიშები;
- რეკომენდირებულია სტუდენტთა და პერსონალის უსაფრთხოებისათვის გარე სამეთვალყურეო სისტემის მოწესრიგება;
- დაწესებულებას ამ ეტაპზე არ აქვს სათანადო მოთხოვნების გათვალისწინებით აღჭურვილი OSCE საგამოცდო სადგურები, რაც მოთხოვნების შესაბამისად უნდა არსებობდეს;
- რეკომენდირებულია მართვის ელექტრონული სისტემის გამართვა, რაც ინფორმაციის მართვას უფრო ეფექტურს და გამჭვირვალეს გახდის. ინფორმაციის შენახვაზე და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირებისაგან ვერ იქნა მიღებული დამაჯერებელი ინფორმაცია, ამ სისტემების დაცულ მუშაობასთან დაკავშირებით;
- რეკომენდირებულია ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა დახვეწა გამჭვირვალეობის თვალსაზრისით.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ სთხოვა ექსპერტს, დეტალურად განემარტა თითოეული რეკომენდაცია.

ექსპერტმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ რეკომენდაციის მიზანი იყო სამოქმედო გეგმაში ინდიკატორების თვალსაზრისით ყოფილიყო მითითებული მეტი რაოდენობრივი და არა თვისობრივი მონაცემები და ეს მონაცემები ყოფილიყო უფრო მეტად დეტალიზებული.

საბჭოს წევრმა, ირაკლი კოხრეიძემ სთხოვა ექსპერტს განემარტა რა იგულისხმებოდა მატერიალური რესურსის მითითებაში. პასუხად ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფი აქ გულისხმობდა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით კონკრეტული მატერიალური რესურსის მითითებას.

საბჭოს წევრი, ირაკლი კოხრეიძე, ასევე დაინტერესდა კვლევითი საქმიანობათან, კერძოდ, 6.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, საიდან გამომდინარეობდა ქვესტანდარტის სრული შესაბამისობა, რაზეც ექსპერტმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტეტი, ბათუმი იყო სასწავლო უნივერსიტეტი, რომელიც დიდ ინვესტიციებსა და რესურსებს ღებდა ამ მიმართულებით, შესაბამისად, ჩათვალეს, რომ ამ ნაწილში ქვესტანდარტი სრულად შესაბამისი იყო.

საბჭოს წევრი ირაკლი კოხრეიძე ასევე დაინტერესდა რა ინდიკატორების საფუძველზე დადგინდა 6.1 ქვესტანდარტთან სრული შესაბამისობა, როცა იმავე სტანდარტის ორ სხვადასხვა კომპონენტში იყო მეტწილი შესაბამისობა, კვლევითი საქმიანობა კი აჯამებდა ორ ქვემდგომ კომპონენტს. პასუხად, ექსპერტმა განმარტა, რომ მათ მითითებული ჰქონდათ რეკომენდაციები, თუ რატომ იყო 6.2 და 6.3 კომპონენტები მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან, მაგალითად რეკომენდაცია უკვეშირდებოდა ინტერნაციონალიზაციას, რა მიმართულებითაც მუშაობდა უსდ, თუმცა რეკომენდაცია იყო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აკადემიური მივლინებებით კვლევითი კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს უკანასკნელ პერიოდში დაწყებული ჰქონდა კვლევითი მიმართულების განვითარება, რეკომენდირებული იყო ანგარიშში მომხდარიყო ამის უფრო სტრუქტურირებულად ასახვა მეტად უფრო სისტემური სახის მისაღებად.

საბჭოს წევრი, ირაკლი კოხრეიძე დაინტერესდა რამდენი მიმდინარე კვლევა ნახეს ექსპერტებმა მედიცინის მიმართულებით. ექსპერტმა განმარტა, რომ იყო რამდენიმე ბაზისური კვლევა, უნივერსიტეტს ჰქონდა ძალიან კარგად აღჭურვილი ლაბორატორია და ეს კვლევები ხორციელდებოდა, მაგალითად - ბიოსამედიცინო მიმართულებით ამ ლაბორატორიებში. ასევე, მისი ბეჭდით, კვლევებს ახორციელებდა აკადემიური პერსონალი, მაგალითად, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით, რომელშიც სტუდენტებიც იყვნენ ჩართულები. ექსპერტმა ასევე დასძინა, რომ უნივერსიტეტმა დაიწყო სამეცნიერო გრანტის იმპლემენტაციაც და აკადემიურ პერსონალს შესთავაზა შიდა საუნივერსიტეტო გრანტი. შესაბამისად, ამ მიმართულებითაც გადადგმული იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯები.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ, სთხოვა ექსპერტს ესაუბრა უფრო ვრცლად პირველ სტანდარტთან დაკავშირებით, სადაც გაცემული იყო რეკომენდაცია სამოქმედო გეგმაში დასახული ამოცანების შესასრულებლად საჭირო მატერიალური, ფინანსური და ადამიანური

რესურსების მითითებისთვის, ექსპერტმა დაამატა, რომ ამ რეკომენდაციის განმარტებისას უკვე ისაუბრა ჯგუფის პოზიციაზე ამ მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, ირაკლი კობრეიძემ ყურადღება გაამახვილა ექსპერტების მიერ დაწესებულების მისიასთან გაცემულ რჩევაზე, სადაც ეწერა რომ სასურველი იყო უნივერსიტეტის მისიის იმგვარი ფორმულირება, რომ მას მეტად აესახა უნივერსიტეტის სპეციფიკა და ძირითადი საქმიანობის პროფილი. ასევე აღნიშნა, რომ რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ უნივერსიტეტს მისია საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ ჰქონდა. პასუხად, ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს მისია ჩამოყალიბებული ჰქონდა, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტი ახორციელებდა ერთ საგანმანათლებლო პროგრამას მედიცინის მიმართულებით, ჰქონდათ გარკვეული შეკითხვები, ამასთან, უნივერსიტეტი მიზნად ისახავდა სხვა საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო, უფრო ზოგადი მისიის ფორმულირება.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ პოზიცია პირველ სტანდარტთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი ცხვედიანმა აღნიშნა, რომ მისია იყო იმდაგვარად ფორმულირებული, რომ გათვალისწინებული ჰქონდათ ინტერნაციონალიზაციის და კვლევითი გამოწვევები, ხოლო შეკითხვები კი გააჩინა იმან, რომ უნივერსიტეტში იყო მხოლოდ სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მისიაში არ იკითხებოდა. აღნიშნულზე დაწესებულების პასუხს წარმოადგენდა, რომ სტრატეგიულ გეგმაში ჩანდა რომ სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა არ იყო ერთადერთი ამოსავალი საგანმანათლებლო პროგრამა უნივერსიტეტისთვის და აქედან გამომდინარე მისიის მხოლოდ ამ კონტექსტში ფორმირება არ ჩათვალეს მიზანშეწონილად. რაც შეეხება სტრატეგიულ გეგმას, სტრატეგიულ გეგმაში მონაცემები ასახული იყო, თუმცა არა რაოდენობრივად, მათთვის რეკომენდაცია გონივრული იყო და შეეძლოთ შემოეღოთ რაოდენობრივი ინდიკატორებიც.

საბჭოს წევრმა, იური მღებრიშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის სასწავლო უნივერსიტეტის მისია გაუგებარი იყო და დაინტერესდა უნივერსიტეტის წარმომადგენლების პოზიციით რა იყო უნივერსიტეტის ხედვა, თუ აღნიშნული იყო მისია. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აკადემიური ხედვა ჩამოყალიბებული იყო, როგორც ცალკე დოკუმენტი, ხედვა იყო რამდენიმე მიმართულებით: საერთაშორისო პარტნიორობის ქსელის გამოყენება, იმისთვის, რომ სასწავლო, კლინიკური პროცესი საქართველოში წახალისებულიყო და ხედვის მეორე ამოცანა იყო საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფარმაციის და სტომატოლოგიის მიმართულებით საქმიანობის გაფართოება. ამჟამად, მისი თქმით, მიმდინარეობდა სტრატეგიული გეგმის გადახედვის პირველი ციკლი, მსჯელობდნენ მედიცინის მიმართულებით პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში შესვლაზე, ასევე, მათი ხედვა იყო საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პატიოსნება, სწავლება ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში და სტუდენტების გლობალურ ბაზარზე დასაქმება.

საბჭოს წევრმა იური მღებრიშვილმა აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, დაწესებულების წარმომადგენლის ჩამონათვალი იყო ამოცანები, რომელიც უნივერსიტეტს მისიის ჩამოყალიბებაში ეხმარებოდა, ხოლო რაც მათ მისიაში ჰქონდათ ჩამოყალიბებული იყო მათი ხედვა, თუ როგორ უნდა განვითარებულიყვნენ და რა მიმართულებით უნდა წასულიყვნენ. ასევე, საბჭოს წევრისთვის დაწესებულების სტრატეგიული გეგმა ზოგადი და გაუგებარი იყო. ასევე დაამატა, რომ ბოლონიის პროცესის პრინციპებიდან გამომდინარე ყველაფერი ციფრებში უნდა

შეფასებულიყო, სტრატეგიული გეგმა უნდა ყოფილიყო გაშლილი იმის მიხედვით თუ რა სტრატეგიას გამოიყენებდა უნივერსიტეტი, რა ბაზარს, რა კვლევებს. ეს ყველაფერი უნდა ყოფილიყო ძალიან დასაბუთებული.

საბჭოს წევრი, ირაკლი კოხრეიძე დაინტერესდა რას გულისხმობდა სასწავლო უნივერსიტეტი მისიაში, სადაც ეწერა, რომ უნივერსიტეტის მისია იყო განეხორციელებინა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პოლიტიკა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ საერთაშორისო სტანდარტებში იგულისხმებოდა სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაცია (WFME), ინტეგრირებული კურიკულუმის მიგნება, რომელიც უნივერსიტეტს ჰქონდა მანამ სანამ დარგობრივი მახასიათებლის სავალდებულო მოთხოვნა გახდებოდა და იმ პერიოდში, როდესაც შეიმუშავეს მისია უფრო რელევანტური იყო აღნიშნული განაცხადი.

საბჭოს წევრი, ირაკლი კოხრეიძე დაინტერესდა დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალით და ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციიდან ამოიკითხა პირები, რომელიც იყვნენ აკადემიური პერსონალის სიაში. მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალად მითითებული იყო ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ადამიანის და ცხოველთა ფიზიოლოგიის მიმართულების მქონე სპეციალისტი, სტომატოლოგიური ფაკულტეტის კურსდამთავრებული ქვეყნის ფარგლებს გარეთ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეპიდემიოლოგიის დოქტორანტი. შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა ახორციელებდნენ თუ არა სწორედ ზემოთჩამოთვლილი სპეციალისტები აკადემიურ პროცესს მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

დაწესებულების მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, ლეილა ახვლედიანმა უპასუხა, რომ ვებ-გვერდი განახლების პროცესში იყო და ყველა აკადემიური პერსონალი არ იყო მითითებული, საწყისს ეტაპზე საბაზისო საგნების პერსონალი იყო შერჩეული, შემდეგ კი შეარჩიეს სხვა აკადემიური პერსონალიც, რომელიც კლინიკისტები იყვნენ. საბჭოს წევრი ჩაეკითხა დაწესებულების წარმომადგენელს თუ რას ასწავლიდნენ მაგალითად გია მუხამაშვილი და ნერიმან ცერცვაძე უნივერსიტეტში, რაზეც წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გია მუხამაშვილი დატვირთული ჯერ არ იყო, თუმცა დაწესებულებაში მას ჰქონდა ზოგადი ქირურგიის პირველ ნაწილი, ხოლო ნერიმან ცერცვაძე ასწავლიდა რევმატოლოგიას და შინაგან მედიცინას.

საბჭოს თავმჯდომარე, თამარ ზარანდია გადავიდა მეორე სტანდარტის განხილვაზე და სთხოვა უნივერსიტეტის წარმომადგენელს გამოეთქვა პოზიცია რეკომენდაციებთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ეთიკის კოდექსის არსებობა დაწესებულებისთვის ლოგიკური იყო, მისივე თქმით, ეთიკის ნორმები შინაგანაწესში იყო მითითებული, შესაბამისად, ისინი პერსონალისთვის არსებობდა, თუმცა თუ ცალკე დოკუმენტად იქნებოდა საჭირო ეთიკის კოდექსის ჩამოყალიბება, დაწესებულება ამის გათვალისწინება პრობლემა არ წარმოადგენდა.

საბჭოს თავმჯდომარე გადავიდა მესამე სტანდარტის განხილვაზე, სადაც მას ჰქონდა შეკითხვა დაშვების წინაპირობებთან მიმართებით. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაშვების წინაპირობად უნივერსიტეტს ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე მითითებული ჰქონდა, რომ თუ აბიტურიენტი ვერ აკმაყოფილებდა ინგლისური ენის ცოდნის შესაბამის დონეს, უნივერსიტეტი სთავაზობდა მომზადების ექვსთვიან და ერთწლიან კურსს. მისივე განმარტებით,

დაშვების წინაპირობა ნიშნავდა იმას თუ როგორი სტუდენტი უნდა მიეღოთ და არა იმას თუ რას სთავაზობდა უნივერსიტეტი სტუდენტს, როდესაც ის ამ პირობებს ვერ აკმაყოფილებდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული ჰქონდათ ქართულენოვანი სტუდენტებისთვის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ინგლისურ ენაში 70%-იანი ბარიერი, რომელიც ყოველ წელს იცვლებოდა, ხოლო საერთაშორისო სტუდენტებისთვის კი დაშვების წინაპირობა იყო ინგლისური ენის ცოდნის B2 დონე, რაც უნივერსიტეტის მიერ მოწმდებოდა თუ აპლიკანტი ვერ წარმოადგენდა იმ ჩამოთვლილი სერტიფიკატებიდან ვერცერთს, რომელსაც ვალიდურად თვლიდა დაწესებულება. გარდა ამისა, მათ გააკეთეს დამატებითი განმარტება, რომ თუ აპლიკანტი ვერ ჩააბარებდა დაწესებულების მიერ შეთავაზებულ B2 დონის გამოცდას, უნივერსიტეტი მათ სთავაზობდა მოსამზადებელ კურსებს, რომელიც იყო ფასიანი. ეს ინფორმაცია მიუთითებს იმიტომ, რომ აპლიკანტი ნახულობდა საგანმანათლებლო პროგრამას და მათ არ უნდა ჩაეთვალიათ დამატებითი გარემოებად B2 დონეზე ინგლისური ენის არ ცოდნა, რადგან უნივერსიტეტი მომზადების საშუალებას აძლევდა.

საბჭოს წევრი, ირაკლი კოხრიძე დაინტერესდა ვინ ამოწმებდა და რა კრიტერიუმებით ფასდებოდა აპლიკანტის ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტეტი, ბათუმში არ იყო სტამბულის ბაჰჩეშეჰირის უნივერსიტეტის ფილიალი, თუმცა რამდენიმე დაწესებულება იყო სწორედ ბაუ გლობალის ერთიანი ქოლგის ქვეშ, ბაუ გლობალ ქსელის ნაწილი, სტამბულის უნივერსიტეტი მათ ხშირად უწევდა დახმარებას, მათ ჰქონდათ რამდენიმე ენის სკოლა, რომელიც ატარებდა გამოცდებს საერთაშორისო სტუდენტებთან, ჰქონდათ გაწერილი კონკრეტული კრიტერიუმები: ენის გამოცდა წერილობითი, ვერბალური და ამის შემდეგ ხდებოდა შეფასება. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა ექსპერტებს ენახათ შესაბამისი დოკუმენტაცია, ასევე, მიმართა მათ კითხვით რას გულისხმობდნენ ისინი ჩანაწერში, სადაც ეწერა, რომ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირება, შემუშავება, დამტკიცების, მონიტორინგის უწყვეტი გაუმჯობესების რეგულაცია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესით ვალისწინებდა უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიას, დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, რეგიონის პრიორიტეტებს და შრომის ბაზარს.

ექსპერტმა განმარტა, რომ როდესაც ისინი აფასებდნენ საგანმანათლებლო პროგრამებს, მათ ჰქონდათ შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან, საიდანაც დადგინდა ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინება მაგალითად, საზღვაო მიმართულებით არსებობდა ჰოსპიტალი, რომელიც ემსახურებოდა მეზღვაურებს.

საბჭოს წევრმა თამარ იოსელიანმა განმარტა, რომ საზღვაო ადმინისტრაცია აღიარებდა სამედიცინო დაწესებულებას იმისათვის, რომ მათ შეეფასებინათ მეზღვაურთა ჯანმრთელობა და წარმოადგენათ რამდენად შეესაბამებოდნენ მოთხოვნილ ფიზიკურ კონდიციებს. საბჭოს წევრი ირაკლი კოხრიძე ჩაეკითხა ექსპერტს ამ მეთოდოლოგიით შეისწავლეს შრომის ბაზარი დაწესებულებაში თუ რაიმე სხვა მეთოდოლოგიით, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ შრომის ბაზარი შეისწავლეს ძირითადად, დამსაქმებლების გასაუბრებით.

საბჭოს თავმჯდომარე გადავიდა მე-4 სტანდარტის განხილვაზე და ჰკითხა უნივერსიტეტის წარმომადგენელს თუ რატომ იყო ცდომილება აკადემიური პერსონალის რეესტრის მონაცემსა და უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, თეა მიქელაძემ განმარტა, რომ ცდომილება გამოიწვია იმან, რომ აკადემიური პირების კონკურსი ჩატარდა სექტემბრის ბოლოს და აკადემიური პირების არჩევის წესის მიხედვით მათთან 1 თვის ვადაში ფორმდებოდა ხელშეკრულება, მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტისას არ იყო შეყვანილი აღნიშნული 6-7 ადამიანი, რომელიც საბოლოო კონკურსიდან იყო არჩეული. მისი თქმით, იყო ასევე ხარვეზი, რომლის გამოც მათთან ფიქსირდებოდა აკადემიური პერსონალი, ხოლო სხვებთან არ ჩანდა. ასევე, მოწვეული პერსონალის შემთხვევაში აქტიურად იყო მითითებული ის პერსონალი, რომელიც მიმდინარე წელს არ ასწავლიდა მათთან. მაგალითად, აფორმდებდნენ ხელშეკრულებას პირებთან, რომლებიც მე-6 წელს ასწავლიდნენ, ჰყავდათ მონიშნული როგორც პრეტენდენტი და აქტიურ პერსონალში არ ჩანდა. დაწესებულებაში იყო 5 მოქმედი კურსი, მე - 6 კურსზე ვისაც უნდა ესწავლებინა, რეესტრში მოწვეული იყო პრეტენდენტად, მომავალში მონიშნავდნენ აქტიურად.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ ისინი გულისხმობენ აკადემიურ პერსონალს, თუ რამდენი ხნით ირჩევდნენ მათ და რატომ არის რეესტრისა და მათი მონაცემები აცდენილი ერთმანეთს, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სექტემბერში ჩატარდა კონკურსი, პერსონალთან ხელშეკრულების გაფორმებისთვის კი აქვთ ერთი თვის ვადა, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ კი ხდებოდა ამ პირების ასახვა რეესტრში, თუმცა დღემდე იყო ტექნიკური ხარვეზი.

საბჭოს წევრი, დავით ბოსტოლანაშვილი შეეკითხა ექსპერტებს თუ შეისწავლეს მათ თვრამეტივე აკადემიური პერსონალის პირადი საქმე, ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ შეისწავლეს. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაამატა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას პერსონალის ყველა წარმომადგენელთან იყო გაფორმებული ხელშეკრულება, ერთადერთი ხარვეზი კი იყო ის, რომ მონაცემები არ იყო ასახული რეესტრში.

საბჭოს წევრი, ირაკლი კოხრეიძე დაინტერესდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ეპიდემიოლოგიის დოქტორანტი იყო თუ არა აკადემიური პერსონალი, რაც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაადასტურა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული პიროვნება ასწავლიდა ეთიკასა და ფილოსოფიის სასწავლო კურსს პირველ კურსზე, იყო ნევროლოგი ექიმი და მისი სამუშაო გამოცდილებით აკმაყოფილებდა პოზიციის მოთხოვნებს.

საბჭოს წევრი ირაკლი კოხრეიძე დაინტერესდა რას კითხულობდა გია მუხამავერია, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ის ჯერ არ კითხულობდა ლექციებს, ჯერ კიდევ არ იყო დატვირთული, თუმცა წაიკითხავდა ზოგადი ქირურგიის პირველი ნაწილის სასწავლო კურსს მე-5 კურსის მე-2 სემესტრიდან თურქ პროფესორთან ერთად, რომელსაც ექნებოდა საათობრივი ანაზღაურება. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, გია მუხამავერია იქნებოდა მეოთხედ შტატზე დაახლოებით, 60 საათი. საბჭოს წევრი უნივერსიტეტის წარმომადგენელს ჩაეკითხა თუ ჰქონდათ მაგალითად, ნერიმან ცერცვაძის ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აკადემიური პირების არჩევის წესში მათ გაწერილი ჰქონდათ, რომ კანდიდატებმა სავალდებულოა წარმოადგენონ ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი, საუბარია საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატზე, თუ არ ჰქონდა სერტიფიკატი უნდა წარმოედგინათ 2 - 6 თვემდე უცხოეთში სწავლების ან ტრენინგის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი ამ მიმართულებით ინგლისურ ენაზე, ასევე, შეუძლიათ

წარმოადგინონ ცნობა, რომ რომელიმე უნივერსიტეტში ასწავლიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას, მაგალითად, ნერიმან ცერცვაძე ასწავლიდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაამატა, რომ წელს, როდესაც ჩაატარეს პირველი აკადემიური კონკურსი, მათ შეხვდათ 3 - 4 პირი, რომელსაც არ ჰქონდა დამადასტურებელი სერტიფიკატი. ასეთი აკადემიური პერსონალისთვის უნივერსიტეტს ჰქონდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი, სადაც მოხდა არჩეული პერსონალის გადამხადებ, ერთ - ერთი მათგანი იყო ნერიმან ცერცვაძე.

საბჭოს წევრი ირაკლი კოხრეიძე ჩაეკითხა უნივერსიტეტის წარმომადგენელს, ნერიმან ცერცვაძის სერტიფიკატი იყო თუ არა B2 დონის, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების ცენტრთან მემორანდუმი, რომელიც გაცემდა B2 დონის სერტიფიკატს. მისი თქმით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰქონდა ჰუმანიტარული ფაკულტეტი, რომელსაც ჰყავდადამალიან კარგი ინგლისური ენის სპეციალისტები. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ენების ცენტრი გაცემდა სერტიფიკატს თავიანთი თანამშრომლებისთვისაც, მაგრამ სტუდენტებისთვის არა. ნერიმან ცერცვაძის შემთხვევაში კი ორი ცნობა იყო წარმოდგენილი: ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ლექტორობის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადაც, ის წელიწადნახევარზე მეტი ხანია ასწავლიდა და ენების ცენტრის მიერ გაცემული B2 დონის სერტიფიკატი.

საბჭოს წევრი ირაკლი კოხრეიძე დაინტერესდა თუ რას ასწავლიდა ცირა კაპანაძე, რომელმაც დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ადამიანის და ცხოველთა ფიზიოლოგიის სპეციალობით, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ის კითხულობდა პრაქტიკას ფიზიოლოგიის ნაწილში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ის დოქტორანტი იყო ნეირო ფიზიოლოგიის მიმართულებით და შესაბამისად, აკმაყოფილებდა აკადემიური პირებისთვის დადგენილ კონკურსის წესებს, რომლის დამუშავების დროსაც მათ გადახედეს ქართულ სივრცეში არსებულ უნივერსიტეტებს და სხვა უნივერსიტეტების პრაქტიკისგან განსხვავებით, ინგლისურენოვან კონფერენციაში მონაწილეობის მიღება მათ არ ჩაუთვალეს კანდიდატებს როგორც დამატებითი პრივილეგია. დაწესებულებაში არსებული მოთხოვნების მიხედვით საჭირო იყო თვეზე მეტი ხნით უცხოეთის ტრენინგზე ყოფნა, ასევე, წესის მიხედვით, უნივერსიტეტს ჰქონდა გასაუბრება და მათ უნდა ჩაეტარებინათ საჩვენებელი ლექცია.

საბჭოს წევრი დაინტერესდა ასევე, იმით თუ რომელი საგანმანათლებლო საგანი მიჰყავდა ნინო თებიძეს, რაც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დააზუსტა და განაცხადა, რომ ნინო თებიძეს მიჰყავდა თავ-კისერის ანატომიის პრაქტიკული კურსი, ხოლო დანარჩენ ნაწილს კითხულობდა ნინო ჯინაური, რომელიც იყო მოწვეული დოქტორანტი, ასევე, თურქეთიდან მოწვეული პროფესორი, მათ ჰქონდათ გვამიც, რაზეც მიმდინარეობდა ლაბორატორიული მეცადინეობები.

საბჭოს წევრმა ამოიკითხა დასკვნიდან რჩევა, რომ უმჯობესი იქნებოდა აკადემიური პერსონალის შერჩევის პროცედურაში, აკადემიურ საბჭოს მეტი უფლება ჰქონდოდა ვიდრე რექტორის ერთპიუროვნულ გადაწყვეტილებებს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტი იყო კერძო სამართლის იურიდიული პირი, სადაც ხელმძღვანელის გარდა ვერავინ ვერ მიიღებდა გადაწყვეტილებას, რექტორი არ არჩევდა აკადემიურ პერსონალს, მას არჩევდა აკადემიური საბჭო.

საბჭოს წევრმა მორის შალიკაშვილმა იკითხა თუ ვინები იყვნენ შერჩევის კომისიის წევრები, თუ ის იყო არჩევითი ორგანოს მიერ დამტკიცებული კომისია იყო იმის ალბათობა, რომ გადაწყვეტილებები ყოფილიყო ობიექტური. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა თუ აქცევდნენ ისინი ყურადღებას აკადემიური პერსონალის მიერ უცხო ენაზე გამოქვეყნებულ სტატიებს, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათი ერთ-ერთი აუცილებელი პუნქტი იყო ის, რომ კანდიდატს უნდა წარმოედგინა ესეთი ნაშრომები და ერთი საუკეთესო ნაშრომის განხილვა ხდებოდა სრულად. მისი თქმით, მათ ინტერესში იყო ჰყოლოდათ საუკეთესო პერსონალი, ჰქონდათ პრეცედენტები, როდესაც სტუდენტს არ მოსწონდა პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის დონე, მათ ჰქონდათ ანონიმური გამოკითხვები, რომლის შედეგადაც რექტორს ჰქონდა საშუალება დასწებოდა ლექტორის ლექციას და შეეფასებინა ის. მსგავსი შემთხვევები აკადემიურ პერსონალთან ნაკლები იყო, რადგან ისინი იყვნენ კომისიის მიერ შერჩეულები.

საბჭოს თავმჯდომარემ ენის კომპეტენციებთან დაკავშირებით, ექსპერტებს ჰკითხა აკადემიური პერსონალის შერჩევის პროცედურა რამდენად უზრუნველყოფდა კომპეტენტური პროფესორების ჩართვას საგანმანათლებლო პროცესში. ექსპერტებმა განაცხადეს წესი იყო ზოგადი ხასიათის და თითქმის ყველა სასწავლებელში იყო ერთნაირი. ექსპერტებს ჰქონდათ საუბარი სტუდენტებთან ჰქონდათ თუ არა მათ უკუკავშირის მიცემის შესაძლებლობა. სტუდენტებისგან დადებითი პასუხი მიიღეს და აღნიშნეს, რომ როდესაც მათ არ მოეწონათ ერთ-ერთი ლექტორი ადმინისტრაციამ ის სამსახურიდან გაათავისუფლა.

საბჭოს წევრი ირაკლი კოხრიძე დაინტერესდა, ლექტორის გათავისუფლების საკითხთან დაკავშირებით, მათი აზრით, სად იყო შეცდომა დაშვებული, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ლექტორმა ღია ლექცია კარგად ჩაატარა, ასევე, ამ პროფესორს ჰქონდა რეკომენდაცია სხვა უნივერსიტეტისგან. მისი განმარტებით, ისინი კონკურსს აცხადებდნენ მაშინ, როდესაც აკადემიური წელი იწყებოდა, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც მაგალითად ვინმე ამერიკაში წავიდოდა სასწავლებლად და სასწავლო პროცესის უწყვეტობისათვის სარეზერვო კადრებიდან ირჩევდნენ კანდიდატს, ისინი ატარებენ ღია ლექციას კარგად, თუმცა ყოფილა შემთხვევა, რომ შემდეგ მისი ჩატარებული ლექცია სტუდენტს არ მოსწონებია და რექტორი თავად დაესწრო გაფრთხილების გარეშე ამ ლექტორს, ხარისხის სამსახურის თანამშრომელთან, აკადემიურ პერსონალთან და ენის სპეციალისტთან ერთად, რადგან მხოლოდ ენის სპეციალისტისთვის რთული იქნებოდა სამედიცინო ტერმინოლოგიის გაგება.

საბჭოს წევრმა ირაკლი კოხრიძემ განმარტა, აპენდიცის ახსნისთვის არ იყო სამედიცინო ტერმინოლოგია საჭირო, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ თვითონ კითხულობდა ინგლისურ ენაზე იმუნოლოგიის სასწავლო კურსს და მას თავად შეეძლო გაეგო ატარებდა თუ არა კარგად ლექციას ლექტორი, მისი თქმით, ენის სპეციალისტი მათ ჰყავდათ აკადემიური პერსონალის არჩევისას.

საბჭოს წევრმა იური მღებრიშვილმა განმარტა, რომ თუ ლექტორი სტუდენტთან შედის და ის ვერ გებულობდა მის საუბარს, ესე იგი ის ცუდად საუბრობდა და ნებისმიერი ენის სპეციალისტი ამას გაიგებდა.

საბჭოს წევრი ნინო ინასარიძე დაინტერესდა როგორი იყო სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აკადემიური მოსწრება მაღალი იყო, საშუალოდ 81 ქულის ზევით, ისინი ასწავლიდნენ დარგობრივი ინგლისურსაც, რომელიც მეორე კურსზე სავალდებულო იყო C2 ან C1 დონეზე. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაშვების წინაპირობა პროგრამაზე იყო ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.

საბჭოს წევრი ნუგზარ სხირტლაძე დაინტერესდა სულ რამდენი სტუდენტი ჰყავდა უნივერსიტეტს, რაზეც უპასუხეს, რომ უნივერსიტეტს ჰყავდა 60 სტუდენტი.

ცენტრის თანამშრომელი გიორგი მუნჯიშვილი დაუკავშირდა მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარეს ტელეფონის საშუალებით, რომელსაც საბჭოს წევრმა ირაკლი კოხრეიძემ დაუსვა შევითხვა, თუ რას გულისხმობდა ის რჩევაში, სადაც ეწერა, რომ უმჯობესი იქნებოდა აკადემიური პერსონალის შერჩევისას აკადემიურ საბჭოს მეტი უფლება ჰქონოდა ვიდრე რექტორის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას, რადგან უნივერსიტეტს ჰქონდა თავისი პოზიცია, რომ ის იყო კერძო სამართლის იურიდიული პირი, სადაც გადაწყვეტილებებს იღებდა დამფუძნებელი, რაზეც მონიტორინგის თავმჯდომარემ ცოტნე სამადაშვილმა უპასუხა, რომ როდესაც მათ განიხილეს დოკუმენტაცია აკადემიური პერსონალის შერჩევის წესი ვერ მოიძიეს, თუმცა არგუმენტირებულ პასუხში მოუვიდათ, რომლის განხილვის დროსაც დაიბადა კითხვა, თუ რატომ იღებდა რექტორი ერთპიროვნულ საბოლოო გადაწყვეტილებას პერსონალის დანიშვნაზე, შესაბამისად, სასურველი იყო აკადემიურ საბჭოს როლი იყოს არა ნაკლები რექტორისა, რომელიც არა რეკომენდაციაში, მაგრამ რჩევის სახით გასცეს.

საბჭოს წევრმა მორისი შალიკაშვილმა დატოვა სხდომა 17:30 საათზე.

საბჭოს წევრი ირაკლი კოხრეიძე დაინტერესდა არსებობდა თუ არა რაიმე წესი, აკადემიური პერსონალის დანიშვნისა და მისთვის ხელფასის დადგენისა, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ ჰქონდათ პარტნიორთა კრების მიერ გამოცემული ბრძანება, რომლითაც დადგენილი იყო სახელფასო განაკვეთი, რომლის ზრდის დინამიკაც ჰქონდათ. 2016 წლის შემდეგ პროფესორების ხელფასი მომატებულია 600 ლარით, ხოლო, მოწვეული პერსონალისთვის 10 - 10 ლარით.

საბჭოს წევრმა მაია მანწკავამ სთხოვა უნივერსიტეტის წარმომადგენელს აფილირებასთან დაკავშირებით უფრო დეტალურად ესაუბრა, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ ჰქონდათ აფილირების წესი, რომლის მიხედვითაც პერსონალს სთავაზობდნენ ფინანსურ მხარდაჭერას, უფასო ტრენინგებს, კონფერენციებისა და სტატიების დაბეჭდვის დაფინანსებას, ისინი კი თავის მხრივ სთხოვდნენ მხოლოდ მათთან აფილირებას.

საბჭოს წევრმა მაია მანწკავას თქმით, გასულ წელს ციხისძირში ჩატარდა, მასშტაბური ღონისძიება, სადაც თითქმის ყველა მედიცინის მიმართულების სასწავლო უნივერსიტეტი მონაწილეობდა, ის დაინტერესდა თუ უნივერსიტეტს აფილირების მხარდაჭერა აქვთ, რატომ არ იყო მათი არც სტუდენტი და არც აკადემიური პერსონალი ჩართული. მისივე განმარტებით, ღონისძიება ჩატარდა ჯანდაცვის რეგიონალური სამინისტროს ქუდ ქვეშ. მან ხაზი გაუსვა იმასაც, რომ უნივერსიტეტის კვლევითი კომპონენტი ემთხვევა ჯანდაცვის სტრატეგიას. მისი თქმით, ალბათ, უნივერსიტეტი იყო ინფორმირებული ამ ღონისძიების შესახებ, თუმცა, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ

აფილირების შემთხვევაში პერსონალი ნამდვილად ვალდებულია, რომ კვლევითი საქმიანობა განახორციელოს უნივერსიტეტის სახელით, ის დაინტერესდა, რა მექანიზმი ჰქონდა უნივერსიტეტს იმის შესამოწმებლად გაიზარდა თუ არა კვლევების რაოდენობა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, რექტორმა დემეტ აქინმა, საბჭოს წევრს უპასუხა, რომ აფილირების წესი 2014 წელს არ ჰქონდათ შემუშავებული, ის შემუშავდა მოგვიანებით, შესაბამისად, კვლევასთან დაკავშირებულ ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნას ისინი იზიარებდნენ. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას ჰქონდა სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსი, მათ ჰქონდათ მცირედი კვლევები, რადგან უნივერსიტეტი მე-5 წელია არსებობდა და სასწავლო კომპონენტზე იხარჯებოდა მაქსიმალური რესურსი, თუმცა, მათ ბიუჯეტში გაწერილი ჰქონდათ თანხა შიდა საგრანტო პროექტისათვის და სთავაზობდნენ აკადემიურ პერსონალს სურვილის შემთხვევაში წარმოედგინათ გრანტი. რექტორმა აღნიშნა, რომ წელს 3 ადამიანი აპირებდა პროექტის გაკეთებას.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაამატა, რომ მათ შემოიღეს პერსონალის შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავდა ციტირებების ინდექსსაც. სისტემა დაახლოებით ნახევარი წელი იყო, რაც დანერგეს. მისი თქმით, უნივერსიტეტის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩათვალილიყო, რომ ყველა აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვა ითვალისწინებდა კვლევით საათებს, რომელიც ანაზღაურდებოდა.

საბჭოს წევრმა მაია მანწკავამ აღნიშნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტი არ თავისუფლდებოდა სამეცნიერო კვლევების განხორციელების ვალდებულებისაგან და 5 წელიწადში შესაძლებელი იყო ფუნდამენტური კვლევების განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარე გადავიდა შემდეგ სტანდარტზე, რომელიც ეხებოდა სტუდენტთა მხარდამჭერ ღონისძიებებს, მან ამოიკითხა ხელშეკრულების მე-9 მუხლი, სადაც ეწერა, რომ მხარეები თანხმდებოდნენ, რომ სასამართლო დავის დროს პირველი ინსტანციის მიერ სასწავლო უნივერსიტეტის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება სსკ - ის თანახმად მიეცემოდა დაუყოვნებლივ აღსრულებას. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, ეს დათქმა კანონიერი იყო, თუმცა, უპირატესად ჰქონდათ წარმოდგენილი უნივერსიტეტი, რაც არასწორი იყო. ის შეეხო ინტელექტუალური საკუთრების მუხლსაც, სადაც ეწერა, რომ ნაშრომს, რომელიც წარმოადგენს ინტელექტუალურ შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავტარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა, რომელიც შეიქმნა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სტუდენტის მიერ, ვრცელდებოდა სასწავლო უნივერსიტეტის საავტორო უფლებები. მისი განმარტებით, ამ ჩანაწერში საუბარი იყო თანაავტორობის მითვისებაზე, თანაავტორობა იყო ინტელექტუალური საკუთრება, ერთობლივი ინტელექტუალურ შემოქმედებითი საქმიანობის პროდუქტი, თუმცა უნივერსიტეტი ამავე მუხლში აღიარებდა, რომ ის იყო სტუდენტის ინტელექტუალური საქმიანობის შრომის შედეგი. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა უნივერსიტეტის წარმომადგენელს განემარტა ეს ჩანაწერი.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ჩანაწერში იგულისხმებოდა მომიჯნავე უფლებები, ის ფორმულირებული იყო არასწორად. ჩანაწერის იდეა იყო სტუდენტის ნაშრომის გამოყენება ვებ გვერდზე განსათავსებლად და ბიბლიოთეკისთვის გამოყენება.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა უნივერსიტეტის წარმომადგენელს ხელშეკრულება დაეზუსტებინათ. ასევე დაინტერესდა, რატომ იცვლებოდა ცხრილი კვირაში ერთხელ, პროფესორები თბილისიდან დადიოდნენ თუ რატომ იყო ცვალებადი.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა იყო ინტეგრირებული, ფიქსირებული ცხრილი ვერ იქნებოდა. მაგალითად, გულ - სისხლძარღვთა სისტემა და ნერვულ სისტემაში ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიონოლოგია და მოლეკულური ბიოლოგია, ერთნაირი რაოდენობით ვერ იქნებოდა, შესაბამისად, ასეთ საგანმანათლებლო პროგრამას ვერ მოერგებოდა ფიქსირებული ცხრილი. ის კეთდებოდა ბლოკებად, იქმნებოდა 4 კვირის ცხრილით. დაწესებულებამ წელს სასწავლო პროცესი დაიწყო გვიან და სტუდენტებს ინტენსიური და დატვირთული ცხრილი გამოუვიდათ.

საბჭოს წევრი ნუგზარ სხირტლაძე დაინტერესდა რამდენი სტუდენტი სწავლობდა უნივერსიტეტში, რამდენ კვირიანი იყო სემესტრი და რა იყო სწავლის საფასური. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სემესტრი იყო 16 კვირიანი, ჰყავდათ 55 სტუდენტი და საფასური იყო 6 500 დოლარის ექვივალენტი ლარში - უცხოელებისთვის, ხოლო ქართველებისთვის 10 000 ლარი. მისი თქმით, მათ ჰყავდათ 10 ქართველი სტუდენტი, რომლებიც პრივილეგირებულები იყვნენ, რადგან აბიტურიენტებზე გაიცემოდა სპეციალიზირებული გრანტი, გასაუბრების შედეგად, სანამ ეროვნულ გამოცდებს ჩააბარებდნენ.

საბჭოს წევრმა ირაკლი კოხრიძემ მე-3 წლის სილაბუსთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენელს ჰკითხა, შესავალი ქირურგიის სასწავლო კურსს ვინ ასწავლიდა, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ჯერ აკრედიტებული არ იყო, ის გადატანილი იყო ახალ საგანმანათლებლო პროგრამაში. საავრედიტაციო ვიზიტი დაგეგმილი იყო მომავალ კვირას.

საბჭოს წევრი ირაკლი კოხრიძე ასევე, დაინტერესდა სტაჟირებებთან დაკავშირებით, თუ რამდენმა სტუდენტმა გაიარა, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ერთი სტუდენტი, 1. წლის განმავლობაში, გაცვლითი პროგრამით იყო წასული. იგი ესწრებოდა სალექციო და ლაბორატორიულ კურსებს, ჩართული იყო სამეცნიერო კვლევაშიც, რომელიც ეხებოდა საზოგადოებრივ ჯანდაცვას და სტუდენტმა 2 ჯერ წარადგინა ის კონფერენციაზე. რექტორის თქმით, მან მე - 2 კურსზე ჩართო მისი სტუდენტი კვლევაში. ის თვითონ აკეთებდა კვლევას სისხლის ჯგუფების განსაზღვრასთან დაკავშირებით ახალშობილებში. შედეგები გაიტანა პეტრე შოთაძის სახელობის სამედიცინო აკადემიის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციაზე და მოიპოვა მე-2 ადგილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა უნივერსიტეტის წარმომადგენელს განემარტა, რატომ იყო კვლევებთან დაკავშირებით შენიშვნა, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი იზიარებდნენ შენიშვნას, რადგან მათ სისტემატიზირებული კვლევები არ ჰქონდათ. პედაგოგების ძირითადი კვლევითი აქტივობის შეფასება ხდებოდა ფაკულტეტის საბჭოზე, ისინი წარადგენდნენ დატვირთვის ანგარიშს, სადაც შედიოდა სამეცნიერო აქტივობაც.

საბჭოს წევრმა მაია მანჭავამ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ელექტრონული ჟურნალი არ ჰქონდა და კომპანია ვისთანაც მათ ჰქონდათ გაფორმებული ხელშეკრულება ვებ - გვერდთან დაკავშირებით, არღვევდა პირობებს, რადგან ვებ - გვერდი უნდა ყოფილიყო უფრო მობილური

ვიდრე იყო. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინფორმაცია არ იყო მათი მხრიდან მიწოდებული.

საბჭოს წევრი ნუგზარ სხირტლაძე დაინტერესდა რა საფრთხე დაინახეს ექსპერტებმა, როდესაც რეკომენდაციაში ჩაწერეს სტუდენტთა და პერსონალისათვის გარე სამეთვალყურეო სისტემის მოწესრიგება. რაზეც ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ეკოლოგიურად სუფთა გარემოში მდებარეობდა, თუმცა რამდენიმე უსაფრთხოების კამერა, გარე პერიმეტრზე არ იყო განთავსებული, რაც მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად უკვე არსებობდა მაინც აისახა რეკომენდაციებში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვიზიტის დროს არ იყო კამერები დამონტაჟებული, გარე პერიმეტრი კონტროლდებოდა დაცვის სამსახურის მიერ. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა არგუმენტირებულ პოზიციაში ექსპერტებს გაუგზავნეს გარე პერიმეტრის კამერების შესყიდვის ინვოისი, რომელიც უკვე დამონტაჟებული იყო.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი იზიარებდნენ შენიშვნას ოსკის სადგურებთან დაკავშირებით, რადგან ოსკის სადგურები ვიზიტისას არ იყო მზად, ჰქონდათ განთავსებული სიმულატორები, ხოლო სადგურებს ძირითადად, გამოცდების პერიოდში აწყობდნენ. სადგურები დაიტიხრა სპეციალიზირებული ფარდებით, შეძენილი იყო კამერები, რომლებიც დაყენდებოდა და აკრედიტაციის ვიზიტისთვის მზად იქნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს ელექტრონული მართვის საინფორმაციო სისტემასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე გაეკეთებინა კომენტარი, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მართვის ელექტრონული სისტემის ადმინისტრაციული ნაწილი, რომელიც ეხებოდა საქმისწარმოებას სრულად გამართული იყო, დანერგული იყო ელექტრონული ჟურნალიც, თუმცა ჯერ კიდევ ხარვეზებით მუშაობდა. მოწვეული იყო სპეციალისტი და მუშაობდა, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ელექტრონული სისტემის გამართულად მუშაობა.

რექტორმა დამატებით განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ინტეგრირებული იყო, სადაც ერთ ბლოკში 8-9 პედაგოგს ელექტრონულ ჟურნალში უნდა შეეტანა მონაცემები. რაც შეეხებოდა საბიბლიოთეკო რესურსს, მათ ჰქონდათ წიგნები, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. ზეჰდვითი წიგნებს ყოველ სემესტრში ახალ გამოცემას ყიდულობდა დაწესებულება 4 - 5 ეგზემპლიარად. დაწესებულებას ჰქონდა წვდომა თურქეთის უნივერსიტეტის ელექტრონულ ბაზაზეც, რომლითაც სარგებლობა შესაძლებელი იყო სტუდენტებისთვის, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალისათვის.

საბჭოს წევრმა ნინო ინასარიძემ, სთხოვა ექსპერტებს დაესახელებინათ, კონკრეტულად რა მოეწონათ ლაბორატორიებში.

ექსპერტმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა რამდენიმე ლაბორატორია, ბიო ქიმიის, ბიოლოგიის, მიკრო ბიოლოგიის, ანატომიური დისექციის, ჰქონდათ ლაიკას ფირმის 60 მიკროსკოპი და ზოგადად, ძალიან მაღალი ხარისხის აპარატურა.

საბჭოს წევრი ირაკლი კოხრეიძე დაინტერესდა კლინიკური ბაზები და აკადემიური პერსონალი როგორ კოლაბორაციაში იყვნენ ერთმანეთთან, რაზეც, რექტორმა უპასუხა, რომ თითქმის ყველა

კლინიკურ ბაზასთან, რაც ბათუმში იყო გაფორმებული ჰქონდათ მემორანდუმი. ადრე დაწესებულება სარგებლობდა საერთაშორისო ჰოსპიტლის შენობით, ახლა კლინიკა მედინაში გადაინაცვლეს. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით პერსონალი ფლობდა ინგლისურ ენას. რექტორის თქმით, მათ პირველივე კურსიდან ჰქონდათ კლინიკური ვიზიტები, სადაც გამოყოფილი იყვნენ მენტორები, რომლებიც დაჰყვებოდნენ 7 კაციან სტუდენტთა ჯგუფებს. საბჭოს წევრი ირაკლი კობხიძე დაინტერესდა ვინ ასწავლიდა ტრამვატოლოგიის სასწავლო კურსს, რაზეც რექტორმა უპასუხა, რომ ტრამვატოლოგიას ასწავლიდა მოწვეული ლექტორი გიორგი თავბერიძე, ასევე, ლევან გვასალია და მედინაში ტრამვატოლოგი იყო მამუკა თებიძე. ასევე, მან აღნიშნა, რომ გიორგი ქოჩიაშვილმა, რომელიც უცხოეთიდან ჩამოვიდა, ჩაატარა უროლოგიის სალექციო ერთევირიანი კურსი.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, როგორ ათანხმებდნენ მოწვეულ ლექტორებთან სასწავლო გეგმას, რაზეც რექტორმა უპასუხა, რომ ისინი წლის დასაწყისში უკავშირდებოდნენ ლექტორებს, რომლებსაც ეკითხებოდნენ სავარაუდო ბლოკის დასაწყისი - დასასრულისთვის თუ ჰქონდათ თავისუფალი დრო. ჰყავდათ სარეზერვო კადრებიც, გიორგი ქოჩიაშვილის შემთხვევაში კი მათ სტუდენტები თბილისში გამოუშვეს, სადაც 3 კლინიკაში გაიარეს კლინიკური პრაქტიკები, ხარჯი დაფინანსდა უნივერსიტეტის მიერ.

საბჭოს წევრი მაია მანწკავა დაინტერესდა რატომ არ ჰქონდათ არცერთ კვლევით ორგანიზაციასთან გაფორმებული მემორანდუმები, მისი თქმით, ასეთ შემთხვევაში, კვლევითი ინსტიტუტები თავად დააფინანსებდნენ. მისი თქმით, ექიმის პროფესია ითვალისწინებდა სწავლას სიცოცხლის ბოლომდე, როგორც უკვე ყველა პროფესია. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ რჩევას გაითვალისწინებდნენ.

საბჭოს წევრი ირმა ჭანტურია დაინტერესდა ჰყავდა თუ არა უნივერსიტეტს საერთაშორისო სტუდენტები, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ ჰყავდათ სტუდენტები ყაზახეთიდან, ყირგიზეთიდან, აზერბაიჯანიდან, დიდი ბრიტანეთიდან, კანადიდან, ამერიკიდან, თურქეთიდან, აქამდე ტენდენცია იყო, რომ ძირითადი ნაწილი იყო არაბეთის ქვეყნებიდან, თუმცა, წელს დაწესებულებამ მიიღო ინგლისის 6 და ერთი კანადის მოქალაქე. აქამდე ჰყავდათ 2 ამერიკის მოქალაქე და ახლა ნაკადი წამოვიდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან, ჰყავდათ თურქეთიდან - 3 სტუდენტი, იორდანიიდან - 5 და ეგვიპტიდან - 7. საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა: 18:05 საათზე  
საბჭოს სხდომა განახლდა: 18:46 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტეტი, ბათუმისთვის დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად 60 დღიანი ვადის მიცემის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად შპს ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმს (საიდენტიფიკაციო კოდი: 445434888) დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 დღის ვადა.



### 3. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს. თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება, წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. უსდ-ს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რომ დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია, ძირითადი რეკომენდაციები და მიგნებები. ექსპერტებმა საბჭოს წინაშე წარადგინეს რეკომენდაციები:

- ჩატარდეს ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვა;
- წარმოდგენილ იქნას სამოქმედო გეგმაში არსებული ამოცანების შესრულების ყოველწლიური ანგარიში;
- სტუდენტთა კონტინგენტი დაიგეგმოს უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული პრაქტიკული კომპონენტისათვის საჭირო მატერიალური ბაზის შესაბამისად;
- სსუ-მა გადახედოს დებულებასა და ორგანიზაციულ სტრუქტურას და ზოგიერთი მოქმედი სტრუქტურული ერთეული ასახოს ორგანიზაციულ სტრუქტურაში, ასევე დებულებაში განსაზღვროს ამ სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები;
- სსუ-მ იზრუნოს უახლოეს მომავალში დანერგოს ელექტრონული საქმის წარმოების სისტემა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მიმართებაში დებულებაში გასწორდეს ჩანაწერი და ის განისაზღვროს ან მართვის ორგანოდ ან ადმინისტრაციულ ერთეულად;
- ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დაწესებულებამ იზრუნოს ინგლისურენოვანი პროგრამების რაოდენობის ზრდაზე. უზრუნველყოს უფრო მეტი ჩართულობა გაცვლით პროგრამებში; როგორც სტუდენტებთან მიმართებით, ასევე პერსონალთან დაკავშირებით;
- შემოწმდეს პლაგიატზე ყველა ტიპის სამეცნიერო ნაშრომი;
- განხორციელდეს ცვლილება ეთიკის კოდექსში ადმინისტრაციული პერსონალისთვის ეთიკისა და ქცევის წესების განსაზღვრის მიზნით რეაგირების პროცედურებთან ერთად.
- გადაიხედოს საბაკალავრო პროგრამები და შესაბამისი სილაბუსები, რათა ტექნიკური შეცდომა იქნას გასწორებული;
- უნივერსიტეტმა შეიმუშავოს პროგრამების კატალოგები და განათავსოს ვებ-გვერდზე. გასწორდეს ვებგვერდის გაუმართაობა, ინგლისური და ქართული ვერსია მოვიდეს შესაბამისობაში;
- მოხდეს პერსონალის პირადი საქმეების სრულყოფა;
- ყოველწლიურად ჩატარდეს ადმინისტრაციული პერსონალის კვლევის ჩატარება;
- სტუდენტების გამოკითხვები აუცილებლად ჩატარდეს მხოლოდ ანონიმურად;
- გამოსწორდეს ტექნიკური შეცდომა საათობრივი დატვირთვის ცხრილში;
- შეიქმნას სამეცნიერო კვლევითი ცენტრში არ გაწევრიანებული პერსონალის კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- ყურადღება მიექცეს სადოქტორო ნაშრომების გაფორმებას, თანამედროვე ლიტერატურის გამოყენებას;

- მოხდეს დოქტორანტების უფრო მეტად ინფორმირება საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო ბაზებით სარგებლობასთან მიმართებაში;
- შემუშავებულ იქნას კვლევითი საქმიანობის შეფასების დამოუკიდებელი მექანიზმი და მოხდეს მისი იმპლემენტაცია;
- პერიოდულად გამოქვეყნდეს პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების ანალიზის საფუძველზე განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია;
- სრულყოფილად იქნას წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევების შესახებ ანგარიშები;
- გადამზადდეს ბიბლიოთეკის პერსონალი საბიბლიოთეკო ელექტრონული რესურსების გამოყენების უზრუნველსაყოფად;
- დაინერგოს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა;
- გაუმჯობესდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ინტეგრაცია;
- მოხდეს ვებ გვერდის განახლება და დახვეწა;
- დაწესებულებამ განახორციელოს ფინანსური აუდიტი უფლებამოსილი ფინანსური ფირმის მიერ, რომლის მიერ შედგენილი დასკვნები და შედეგები იქნება საჯაროდ ხელმისაწვდომი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გაემახვილებინათ ყურადღება იმ რეკომენდაციებზე, რომლებსაც ისინი არ ეთანხმებოდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, დავით ტეფნაძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ პირველი რეკომენდაცია იყო შემდეგი: წარმოდგენილ იქნას სამოქმედო გეგმაში არსებული ამოცანების შესრულების ყოველწლიური ანგარიში. რასთან დაკავშირებითაც მან აღნიშნა, რომ მათ 12 დეკემბერს ჩაატარეს წლის შემაჯამებელი მმართველი საბჭოს შეხვედრა, რომლის ოქმიც არ იყო მზად ექსპერტების ვიზიტის დროს.

შემდეგი რეკომენდაცია იყო, ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის ჩატარება, რაც სამოქმედო გეგმაში ჰქონდათ გაწერილი და მიმდინარე წლის ზაფხულამდე ჩატარდებოდა, ასევე, შეტანილი ჰქონდა კითხვარიც პერსონალის მართვის სახელმძღვანელოში.

რეკომენდაცია იყო ისიც, რომ დაგეგმილიყო სტუდენტთა კონტიგენტი უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული პრაქტიკული კომპონენტისათვის საჭირო მატერიალური ბაზის შესაბამისად, რასაც ეთანხმებოდნენ და აღნიშნული გათვალისწინებულ იქნა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში, ვებ - გვერდზეც სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის განახლებული ვერსია იყო ატვირთული და აღნიშნული გამოასწორეს ვიზიტის შემდეგ.

რეკომენდაცია ეხებოდა დებულებასაც, რომ უნივერსიტეტს უნდა გადახედა დებულებისა და ორგანიზაციული სტრუქტურისათვის, რაც ითვალისწინებდა ზოგიერთი მოქმედი სტრუქტურის ასახვას ორგანიზაციულ სტრუქტურაში, და ამ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების განსაზღვრას; ეს რეკომენდაცია ეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სადაც ის მითითებული იყო, როგორც მმართველი და ადმინისტრაციული რგოლი, ხოლო დებულების გადახედვის შემდეგ დარჩა, როგორც მხოლოდ მმართველი რგოლი.

ექსპერტმა, ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ სტრუქტურაში არ ჰქონდათ მითითებული იურიდიული სამსახური, რასაც დაეთანხმნენ დაწესებულების წარმომადგენლები. უნივერსიტეტის წარმომადგენლის თქმით, მათ ასევე დანერგეს ელექტრონული საქმის წარმოების სისტემა და

იფლოუს (eflow) სისტემა უახლოეს მომავალში იქნებოდა ჩაშვებული. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, რეკომენდაციების უმეტესობა გათვალისწინებული იყო და დანარჩენს ეტაპობრივად გაითვალისწინებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ სამწუხაროდ, ის რომ უნივერსიტეტმა რეკომენდაციები გაითვალისწინა, ამას საბჭო მხედველობაში ვერ მიიღებდა რადგან, როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რეკომენდაციების უმეტესობა გათვალისწინებული და გამოსწორებული იქნა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სასწავლო პროცესის მართვის სისტემასთან დაკავშირებით მათ ტენდერი ჰქონდათ გამოცხადებული, მაგრამ პროცესი არ იყო დასრულებული. ამ ეტაპზე მათ გამოცხადებულ ტენდერზე მიღებული ჰქონდათ 4 წინადადება და უახლოეს მომავალში გააკეთებდნენ არჩევანს.

დაწესებულების წარმომადგენელმა სილაბუსებში არსებული ტექნიკური ხარვეზების გამოსწორების შესახებ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ათივე საგანმანათლებლო პროგრამა შემოიტანა ცენტერში აკრედიტაციისთვის და რომ ყველა პროგრამა მოყვანილი იყო ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ დისერტაციები, რომლებიც მათ ექსპერტებს წარუდგინეს მომზადებული იყო ძველი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ხოლო 2015 წლიდან განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების დოქტორანტების ნაშუაგვრები კი ვერ წარმოადგინეს, რადგან იმ ეტაპზე არ ჰქონდათ დაცული დისერტაცია. პირველმა დოქტორანტმა კი ნაშრომი დაიცვა 2019 წლის დეკემბრის ბოლოს. დისერტაცია პლაგიატზე შემოწმებული იყო, ნაშრომში დოქტორანტს გამოყენებული ჰქონდა ახალი ლიტერატურა.

პერსონალის კვლევითი საქმიანობის აქტივობებთან დაკავშირებით კი დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დებულებაში უკვე ჰქონდათ განხორციელებული, დამტკიცებული ჰქონდათ ატესტაციის წესი, სადაც გაწერილი იყო მეცნიერთანამშრომლებისა და აკადემიური პერსონალის შემოწმებისთვის საჭირო კრიტერიუმები, რომლითაც ზაფხულში აპირებდნენ ატესტაციის ჩატარებას. რაც შეეხება ბიბლიოთეკის პერსონალს, ერთ-ერთი თანამშრომელი მივლენილი იყო კურსებზე კვალიფიკაციების ასამაღლებლად, ხოლო ვებ-გვერდის განახლებასა და დახვეწასთან დაკავშირებით, მათ აღნიშნეს, რომ ქართულ ენაზე ვებ-გვერდი უკვე არსებობდა და მისი ინგლისურ ენაზე თარგმნა პროცესში იყო.

საბჭოს წევრი, ნუგზარ სხირტლაძე დაინტერესდა რატომ იყო დასკვნის პროექტში უნივერსიტეტის ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი არასწორად მითითებული, რაზეც ექსპერტმა ია მოსაშვილმა განმარტა, რომ ვადის გასვლის თარიღი 1 წლით შეეშალათ, თუმცა საბოლოო დასკვნაში გამოასწორეს.

საბჭოს წევრმა, დავით ბოსტაძანაშვილმა აღნიშნა, რომ მისი აზრით დაწესებულების წარმომადგენლები იზიარებდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, რადგან მათ უკვე გაითვალისწინეს რეკომენდაციების ნაწილი.

საბჭოს წევრი, თამარ იოსელიანი, დაინტერესდა როგორი იყო დაწესებულებაში დასაქმების მაჩვენებელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნიკა თიკანაშვილმა განმარტა, რომ ავიასპეციალისტების მომზადება მსოფლიოს მასშტაბით, ყველა რეგიონში მნიშვნელოვანი საკითხი იყო, განსაკუთრებით კი ისეთი ქვეყნებისთვის, სადაც ფრენების ინტენსივობა ზირდებოდა, მათ შორის საქართველო.

ასევე აღნიშნა, რომ საქართველოში იზრდებოდა ავიაკომპანიების რაოდენობა, შესაბამისად მოთხოვნა კურსდამთავრებულებზე, რაც ასახული იყო მათ მიერ ჩატარებულ დამსაქმებლების კვლევებშიც. მან დაამატა, რომ კურსდამთავრებულთა აბსოლუტური უმრავლესობა დასაქმებული იყო, რაც დაწესებულებას შეემლო მტკიცებულების სახითაც წარმომადგინა.

საბჭოს წევრი მაია მანწკავა დაინტერესდა, რამდენი უცხოენოვანი სტუდენტი ჰყავდა დაწესებულებას და რამდენი სტუდენტი სწავლობდა ამჟამად სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რა სპექტრში იყო დაცული აღნიშნული 2 დისერტაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ ამჟამად ჰქონდათ 2 ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა და ჰყავდათ 55 საერთაშორისო სტუდენტი. ბოლოს მიიღეს 22 სტუდენტი, რომელიც 3 ჯერ აღემატებოდა წინა მიღებებს, რაც იყო ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გატარების შედეგი, ხოლო სექტემბრიდან უფრო დიდ რაოდენობის მიღებას აპირებდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში დღეს ფუნქციონირებდა 2 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, სტუდენტთა საერთო რაოდენობა იყო 11, ამჟამად უნივერსიტეტში ორმა სტუდენტმა დაიცვა სადოქტორო ნაშრომი. ასევე, მან აღნიშნა, რომ ჰქონდათ საშუალება ჰყოლოდათ უცხოელი თანახელმძღვანელი, ჰქონოდათ კვლევითი გრანტები და აღნიშნული ორი დოქტორანტი იყო შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსის გამარჯვებული. მათ მოიპოვეს კვლევითი გრანტები საქართველოსა და ლატვიის შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაზე დაყრდნობით, რამაც მათ ხელი შეუწყოთ, რომ ჰქონოდათ საერთაშორისო ბაზებზე წვდომა, გამოექვეყნებინათ სტატიები მაღალ რეფერირებად ჟურნალებში. ასევე, დაამატა, რომ უნივერსიტეტი იყო კონსორციუმის წევრი და ჰქონდათ წვდომა ელსევიერის, სკოპუსის და სხვა ბაზებზე.

საბჭოს წევრი ირაკლი კოხრეიძე დაინტერესდა დაწესებულებას ასისტენტ პროფესორი რატომ არ ჰყავდა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაწესებულება ახორციელებდა საინჟინრო მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებს, სადაც დაცული ხარისხის მქონე პერსონალი ნაკლებად იყო, ამიტომ მათ ჰყავდათ ასოცირებული პროფესორები, რომლებიც დარგში გამოცდილების გათვალისწინებით იყვნენ კონკურსში გამარჯვებულები.

საბჭოს წევრი ნუგზარ სხირტლაძე დაინტერესდა დისერტაციის დაცვის შემდეგ დაწინაურდა თუ არა ეს ხალხი, რაზეც უპასუხეს, რომ ეტაპობრივად კონკურსის შემდეგ მოხდებოდა ამის განხილვა.

საბჭოს წევრი დაინტერესდა როგორი იყო გენდერული ბალანსი სტუდენტებს შორის, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ტენდენცია მიდიოდა იქითკენ, რომ ქალბატონების მიერ დაინტერესება იზრდებოდა, მიღება საკმაოდ მაღალი იყო. სტატისტიკის მიხედვით კი 55% იყო ბიჭი ხოლო 45%-გოგონა.

საბჭოს წევრი ირაკლი კობხიძე დაინტერესდა ატესტაცია როდის უწევდა პერსონალს და რა წესის მიხედვით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ ჰქონდათ ატესტაციის წესი და ქულობრივი სისტემა.

საბჭოს წევრი თამარ იოსელიანი დაინტერესდა ეასეს (EASA | European Union Aviation Safety Agency) მიერ სერთიფიცირებაზე თუ უფიქრია უნივერსიტეტს, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ ჰქონდათ შემუშავებული სტრატეგიული განვითარების გეგმა, სადაც ერთ-ერთ პუნქტად იყო გაწერილი ეასას სერთიფიცირება, დღეს უკვე ჰქონდათ წინსვლა ამ კუთხით, მათ 24 მარტს ჰქონდათ შეხვედრა ვიზუართან, იანვარში ჰქონდათ შეხვედრა ეფეირთან, ჩეხურ კომპანიასთან, რომლებმაც შეამოწმეს აუდიტით მათი საგანმანათლებლო პროგრამები და სტუდენტებს 3 თვიანი კურსის შემდეგ შეუძლიათ პირდაპირ აილონ ევროპული მოწმობები, ასევე, ვიზიარი წელს აპირებდა 5 საჰაერო ხომალდის ბაზირებას, სადაც სჭირდებოდათ 50 მფრინავი, 25 - მეორე პილოტი, 25 მეთაური, რომლებიც შესაძლოა ყოფილიყვნენ საქართველოში მიღებული განათლების მქონე კურსდამთავრებულები.

საბჭოს წევრი მაია მანწკავა დაინტერესდა რამდენი იყო უცხოელისათვის გადასახადი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ფასები განისაზღვრებოდა გამომდინარე იქიდან ინგლისურენოვანი იყო საგანმანათლებლო პროგრამა თუ ქართულენოვანი, ერთის ფასი იყო - 3 000 ლარს და მეორესი - 3 000 დოლარი.

საბჭოს წევრმა ირაკლი კობხიძემ აღნიშნა, რომ როდესაც ავიაციას ეხება საქმე, მისთვის გასაკვირი იყო ვებ-გვერდის ტექნიკური გაუმართაობა, მისი აზრით, ეს პირველ რიგში გამოსასწორებელი მოცემულობა უნდა ყოფილიყო.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მიმდინარეობდა ინგლისურენოვანი მასალის დამუშავება, რომელიც მალე ჩაეშვებოდა ვებ-გვერდზე.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა: 19:33 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა: 19:39 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად 60 დღიანი ვადის მიცემის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

#### გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“

88-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206155328) დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 დღის ვადა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დაიხურა 19:44 საათზე.

თავმჯდომარე

თამარ ზარანდია

ნუგზარ სხირტლაძე



მდივანი

თამარ იოსელიანი

